სპეციალური
საგამოძიებო
სამსახური

საქმიანობის ანგარიში
2023

მაღალი
სტანდარტი

გამჭვირვალე
გამოძიება

დაცული
უფლებები

სპეციალური საგამოძიებო სამსახური

საქმიანობის ანგარიში

2023

WWW.SIS.GOV.GE

სარჩევი

წინასიტყვაობა 4

1. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი 6

2. სამსახურის სტრუქტურა 8

3. სამსახურის 2023 წლის მიღწევები 9

3.1. დანაშაულის გახსნის გაზრდილი მაჩვენებელი 11

3.2. სამოხელეო დანაშაულის პრევენციის მექანიზმის შექმნა 13

3.3. მსხვერპლთა უფლებების დაცვის სამმართველოს შექმნა 17

3.4. სამსახურის 2023-2028 წლების განვითარების სტრატეგია 18

3.5. დამოუკიდებელი საზედამხედველო უწყებების საერთაშორისო ქსელში (IPCAN) გაწევრიანება 19

3.6. შიდა სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო ქსელში (ICIN) გაწევრიანება 20

3.7. „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპელ პარტნიორთა ქსელში“ (EPAC) გაწევრიანება 21

3.8. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების კვალიფიკაციის სახელმძღვანელო 22

3.9. სპეციალიზებული (მესამე) სამმართველოს შექმნა 23

3.10. სათავო ოფისის მშენებლობა 24

3.11. ერთიანი საგამოძიებო პოლიტიკის დანერგვა 25

4. საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა ... 29

4.1. საზოგადოებასთან ურთიერთობა 30

4.2. ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა 32

4.3. საერთაშორისო კონფერენცია 33

5. თანამშრომლობა 35

5.1. სახალხო დამცველთან თანამშრომლობა 36

5.2. დიპლომატიურ კორპუსთან თანამშრომლობა 37

5.3. საერთაშორისო დელეგაციების ვიზიტები 38

5.4. საერთაშორისო თანამშრომლობა 38

5.5. ვენეციის კომისიის ვიზიტი 41

5.6. მედიის საკითხებზე უფლებადამცველებთან თანამშრომლობა 42

6. დონორებთან თანამშრომლობა 43

6.1. დონორების საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა 44

6.2. დონორების მიერ დაფინანსებული სასწავლო აქტივობები 45

7. ფინანსური ანგარიშგება 46

8. ინფორმაციული და ტექნოლოგიური გაძლიერება 48

9. გამოძიება 50

9.1. 2023 წლის სტატისტიკური მაჩვენებელი 51

9.2. არასათანადო მოპყრობა 54

9.2.1. მიღებული შეტყობინებები 54

9.2.2. გამოძიების დაწყება 56

9.2.3. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება 60

9.2.4. გამოძიების შეწყვეტა 61

9.2.5. შედარებითი ანალიზი 61

9.3. სამართალდამცავების მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები 63

9.3.1. მიღებული შეტყობინებები 63

9.3.2. გამოძიების დაწყება 64

9.3.3. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება 66

9.4. პირადი ცხოვრების ხელყოფა; ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა; დისკრიმინაციული დანაშაულები 66

9.4.1. მიღებული შეტყობინებები 66

9.4.2. გამოძიების დაწყება 67

9.4.3. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება 68

9.5. დასაბუთებული წინადადებები გენერალურ პროკურატურას 69

9.6. გამოწვევები აქციის საქმეებთან დაკავშირებით 71

10. გამოძიების პროცესში გამოვლენილი ტენდენციები, გამოწვევები და რეკომენდაციები 73

10.1. შემაკავებელ ორდერთან დაკავშირებული გამოწვევები 73

10.2. გამოწვევები ერთობლივი ოპერაციების ცენტრი 112-დან შემოსულ შეტყობინებებზე 74

10.3. დაკავების სტანდარტები და ნეიტრალური მტკიცებულებები 75

10.4. სამეთვალყურეო და სამხრე კამერების ვიდეო ჩანაწერების დროული გადმოცემის უზრუნველყოფა 77

10.5. ხელბორკილის გამოყენებასთან დაკავშირებული გამოწვევები 78

10.6. პენიტენციურ დაწესებულებებში მეთვალყურეობის განხორციელების, სამეთვალყურეო კამერების შენახვის ვადებსა და სამხრე კამერებთან დაკავშირებული გამოწვევები 79

10.7. სამედიცინო ცენტრ „ვივამედში“ გადაყვანილი პატიმრების ვიდეო მეთვალყურეობის საკითხი 81

10.8. გადაუდებელი აუცილებლობისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადაყვანის პრობლემა სამოქალაქო კლინიკაში 82

10.9. სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პატიმრების სამოქალაქო კლინიკებში დაგვიანებული რეფერალის გამოწვევები 84

10.10. სუიციდის პრევენციის პროგრამის გამოწვევები 86

10.11. აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს მიერ უძრავი ქონების გამოთხოვის (გამოსახლების) პროცესის მიმდინარეობისას არსებული გამოწვევები 87

10.12. საერთო სასამართლოების ადმინისტრაციულ შენობებში დაკავებული

პირების/პატიმრების განთავსებისა და გადაადგილდების სივრცეების ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით აღჭურვა 87

11. დადებითი ტენდენციები 89

11.1. შეტყობინების გადმოგზავნის დროულობა და რელევანტური საკომუნიკაციო დანაყოფები 89

11.2. დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაშვება და დისტანციური კომუნიკაცია 89

11.3. პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული პირების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება 89

12. გამოძიების წინაშე არსებული გამოწვევები 91

12.1. სასამართლოდან არასათანადო მოპყრობის შესახებ შეტყობინებების გადმოგზავნის ტენდენცია 91

12.2. პოტენციური მსხვერპლის აღჭურვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით 92

12.3. მოწმის/დაზარალებულისა და მსხვერპლთა უფლებების დაცვის გაძლიერება 93

12.4. ხანგრძლივად მიმდინარე კომისიური ექსპერტიზები 94

13. სამსახურის 2024 წლის გეგმები 96

13.1. გამომძიებელთა შეფასების სისტემის დანერგვა და პილოტირება 97

13.2. ეთიკის კოდექსის შემუშავება 97

13.3. ოჯახური ძალადობის დანაშაულის გამოძიების სტანდარტებისა და რეკომენდაციების შემუშავება 97

13.4. პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფასთან დაკავშირებული დანაშაულის გამოძიების სახელმძღვანელოს შემუშავება და დანერგვა 97

13.5. ხელბორკილების გამოყენების სახელმძღვანელო წესების შემუშავება და დანერგვა 97

13.6. სამხრე და ე.წ „ბორტის კამერების“ გამოყენების დანერგვა და გამოყენების სახელმძღვანელო წესების შემუშავება 98

13.7. არასრულწლოვანთა გამოკითხვის ინსტრუქციის შემუშავება 98

13.8. საზოგადოებრივი აზრის კვლევა 98

13.9. ცნობიერების ამაღლება და მიზნობრივი შეხვედრები 98

13.10. ახალი ვებ-გვერდისა და შიდასაკომუნიკაციო ქსელის შექმნა 99

13.11. ცხელი ხაზის სერვისის დახვეწა და გაუმჯობესება 99

13.12. საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება 99

13.13. საკონსულტაციო საბჭოს ჩამოყალიბება 100

13.14. ქ. რუსთავსა და ქ. გორში რეგიონული ოფისების მშენებლობის დაწყება/აშენება 100

წინასიტყვაობა

სპეციალური საგამოძიებო სამსახური დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოა, რომლის მთავარი მისია მოხელის მიერ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი, დროული და დამოუკიდებელი გამოძიებაა. სამართალდამცავთა ძალის გადამეტებისა და არასათანადო მოპყრობისგან მოქალაქეთა დაცვა, ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. სწორედ ამ მიზნის შესასრულებლად, საზოგადოების მოთხოვნითა და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის უზრუნველსაყოფად, ქვეყანაში ამოქმედდა ყველა სახელმწიფო ორგანოსგან დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახური, რომელიც ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ევროინტეგრაციის გზაზე უმნიშვნელოვანეს ეტაპებს გადის.

ქვეყნის განვითარების პროცესში სამსახურის განსაკუთრებულ როლზე მიუთითებს ევროკომისიის მიერ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად, საქართველოსთვის წარდგენილი 12 რეკომენდაცია, რომელთაგან ერთ-ერთი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გაძლიერებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის აუცილებლობას ეხებოდა, რისთვისაც სამსახურმა საქართველოს პარლამენტთან და შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა.

სამსახურის განსაკუთრებულ როლზე მიანიშნებს, ასევე, საქართველოს მიერ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღების შემდეგ, ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი ახალი 9 დათქმაც, სადაც, ასევე, საუბარია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ეფექტიანი საქმიანობისა და მისი დამოუკიდებლობის აუცილებლობაზე.

საგამოძიებო სამსახურმა საქმიანობით უნდა განამტკიცოს და ახალ სიმაღლეზე აიყვანოს ადამიანის უფლებრივი მდგომარეობა ქვეყანაში, შექმნას არაასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვის გარანტიები, აწარმოოს სწრაფი და დამოუკიდებელი გამოძიება, მოქალაქეებისათვის შექმნას სამართალდამცავების მხრიდან გადაჭარბებული, არაპროპორციული და უკანონო ძალის გამოყენებისგან დაცვის რეალური გარანტიები და თავის მხრივ დადებითი ეფექტი იქონიოს სამართალდაცავ ორგანოებზე, სისტემის გაჯანსაღების, ევროპული სტანდარტებით განვითარებისა და ეფექტიანი ფუნქციონირების კუთხით.

სამსახური კვალიფიციური, პროფესიონალი და კეთილსინდისიერი თანამშრომლების მეშვეობით, ასრულებს ევროკომისიის რეკომენდაციებში მითითებულ მოთხოვნებს, ახორციელებს წინასწარ არჩეულ საგამოძიებო პოლიტიკას, რომლის მთავარი მიმართულებებია: მოქალაქის უფლებების დაცვა, დაზარალებულის და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და ეფექტიანი გამოძიების წარმოება, თანამშრომლობაზე დაფუძნებული მიდგომების განვითარება და დანაშაულის პრევენცია.

სამსახურის წარმატება ნიშნავს ქვეყნის წარმატებას ინსტიტუციური დემოკრატიის განვითარებისა და ევროკავშირში გაწევრიანის გზაზე.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, საზოგადოებასა და საქართველოს პარლამენტს საჯარო განხილვისათვის წარვუდგენთ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშს, რომელიც აერთიანებს ინფორმაციას უწყების მიერ განხორციელებული ღონისძიებების, ინსტიტუციური და ორგანიზაციული რეფორმების, მიღწეული შედეგების, სტატისტიკური ინფორმაციის, სამსახურის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობების შესახებ.

გამოძიების პროცესში გამოვლენილი ტენდენციების გათვალისწინებით, ანგარიში, ასევე, მოიცავს სამართალდამცავთა მიმართ კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომელთა შესრულებაც, ქვეყანაში ადამიანის უფლებრივ მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებს. კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტი არ შეიცავს ინფორმაციას კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან ან/და სისხლის სამართლის საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.



სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა განსაზღვრულია „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის საფუძველზეც სპეციალური საგამოძიებო სამსახური გამოძიებას აწარმოებს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ 2019 წლის 1-ელ ნოემბერს და მის შემდგომ პერიოდში ჩადენილ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შემდეგ დანაშაულებზე:

- წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ან გადამეტება, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით;

- სხვა დანაშაული, რომელმაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ან პენიტენციურ დაწესებულებაში ან/და ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აკრძალული ჰქონდა ადგილსამყოფელის დატოვება, ან/და აღნიშნული პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ;

- სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ჩადენილი სხვადასხვა სახის ძალადობრივი დანაშაულები, რომლებიც არ არის დაკავშირებული მათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან;

- ნებისმიერი პირის მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (მაგ: საქართველოს სსკ-ის 153-ე–159-ე, 162-ე–163-ე და 164[4] მუხ.);

- ევროკომისიის 12 პუნქტიანი გეგმის შესრულების პროცესში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილება გაძლიერდა და მის ქვემდებარეობას დაემატა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე (განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება), 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), 341-ე (სამსახურებრივი სიყალბე) და 369[1] (სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები, თუკი ეს დანაშაულები სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოავლინა;

- სამსახური, ასევე, აწარმოებს გამოძიებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის, ან მისი დამატებითი ოქმის დარღვევის ფაქტებზე.

„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6[1] მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, სამსახურის ხელმძღვანელი აირჩევა 6 წლის ვადით. აღნიშნულ თანამდებობას საქართველოს პარლამენტის მიერ არჩევის შემდეგ, 2022 წლის 1 მარტიდან კოკა კაციტაძე იკავებს. სამსახურის უფროსს ჰყავს პირველი მოადგილე გიორგი კვარაცხელია და მოადგილე ნათია სონღულაშვილი.

სამსახურის სტრუქტურა



სამსახურის 2023 წლის მიღწევები

სამსახურის 2023 წლის მიღწევები

- დანაშაულის გახსნის გაზრდილი მაჩვენებელი
- სამოხელეო დანაშაულის პრევენციის მექანიზმის შექმნა
- მსხვერპლთა უფლებების დაცვის სამმართველოს შექმნა
- სამსახურის 2023-2028 წლების განვითარების სტრატეგია
- დამოუკიდებელი საზედამხედველო უწყებების საერთაშორისო ქსელში (IPCAN) გაწევრიანება
- შიდა სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო ქსელში (ICIN) გაწევრიანება
- „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპელ პარტნიორთა ქსელში“ (EPAC) გაწევრიანება
- წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების კვალიფიკაციის სახელმძღვანელო
- სპეციალიზებული (მესამე) სამმართველოს შექმნა
- სათავო ოფისის მშენებლობა
- ერთიანი საგამოძიებო პოლიტიკის დანერგვა

3.1. დანაშაულის გახსნის გაზრდილი მაჩვენებელი

სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულების გახსნის[1] მაჩვენებელი

სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის, როგორც დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს პრიორიტეტული მიმართულებაა. სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, იღებს ყველა ზომას, რათა ამ ტიპის დანაშაულებზე სწრაფი და ეფექტიანი გამოძიების წარმოება უზრუნველყოს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები **(სამართალდამცავების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობა და ძალადობა)**, 2022 წელს (10 თვე) გამოძიება დაიწყო სულ 291 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო, გახსნა 81 სისხლის სამართლის საქმე - 28%.

ზემოაღნიშნული კატეგორიის დანაშაულებზე, 2023 წელს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება დაიწყო სულ 336 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო გახსნა 118 სისხლის სამართლის საქმე - 35%.



მონაცემები ცხადყოფს, რომ სისხლის სამართლის საქმეთა გახსნის პროცენტული მაჩვენებელი 2023 წელს, 2022 წელთან შედარებით გაზრდილია.

1 აღნიშნული ანგარიშის მიზნებისთვის, გახსნაში მოიაზრება სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, პირის განრიდება და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების[2] გახსნის მაჩვენებელი

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების, როგორიც არის პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფა, ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა და სხვა დისკრიმინაციული ტიპის დანაშაულების დროული, დამოუკიდებელი და ეფექტიანი გამოძიება, ადამიანის უფლებების დაცვისა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოს მიზანია განახორციელოს ქვემდებარე დანაშაულთა მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ქვეყანაში ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის განმტკიცებას.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი (სსკ-ის 153-ე–159-ე მუხლები), 2022 წელს (10 თვე) გამოძიება დაიწყო სულ 129 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო გახსნა 34 სისხლის სამართლის საქმე - 26%.

ზემოაღნიშნულ დანაშაულებზე, 2023 წელს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა გამოძიება დაიწყო სულ 201 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო გახსნა 64 სისხლის სამართლის საქმე - 32%.

მონაცემები ცხადყოფს, რომ სისხლის სამართლის საქმეთა გახსნის პროცენტული მაჩვენებელი 2023 წელს 2022 წელთან (10 თვე) შედარებით გაზრდილია.

2 საუბარია დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი (სსკ-ის 153-ე–159-ე მუხლები).

3.2. სამოხელეო დანაშაულის პრევენციის მექანიზმის შექმნა

2023 წლის 23 იანვარს, არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ სახელმწიფოს კოორდინირებული მუშაობისთვის, ცალკეული **სამოხელეო დანაშაულების პრევენციის სპეციალური საბჭო შეიქმნა.** პრევენციის საბჭოს მისიაა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა ერთიანი პოლიტიკითა და ნაყოფიერი თანამშრომლობის გზით განხორციელდეს. **ამ მიზნით** სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა საქართველოს პროკურატურასთან, იუსტიციის სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. მემორანდუმის ფარგლებში, 2023 წლის 21 ივნისს, პრევენციის საბჭოს პირველი სხდომაც გაიმართა.



ცალკეული სამოხელეო დანაშაულების პრევენციის სპეციალურმა საბჭომ პირველ სხდომაზე განიხილა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პენიტენციური სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული 7 რეკომენდაცია. **კერძოდ:**

- **პენიტენციურ დაწესებულებებში სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება**

რეკომენდაცია: საქართველოს იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა ერთობლივად შეიმუშაონ და გააუმჯობესონ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში პენიტენციურ დაწესებულებებში სახანძრო-უსაფრთხოების წესები, კერძოდ, სახანძრო-უსაფრთხოების ხარისხის გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების რეგულაციები,

ევაკუაციის ეფექტიანი გეგმა და სხვა რელევანტური ნორმატიული აქტები. სასურველია შრომის ინსპექტორის თანამდებობაზე მყოფ პირს გააჩნდეს შესაბამისი კვალიფიკაცია, გამოცდილება და სამართლებრივი აქტით მკაფიოდ გაიწეროს მისი ფუნქცია-მოვალეობები.

პენიტენციურ დაწესებულებებში მოეწყოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თუკი შენობა-ნაგებობები არ საჭიროებს ძირეულ რეკონსტრუქციას.

რეკომენდებულია, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის დებულებაში განხორციელდეს ცვლილებები ან სამსახურის უფროსის მიერ გამოიცეს სამართლებრივი აქტი, სადაც მკაფიოდ განისაზღვრება ამავე დეპარტამენტში შემავალი ინფრასტრუქტურული განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობები და პასუხისმგებლობა პენიტენციურ დაწესებულებებში სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის გაკონტროლებასთან დაკავშირებით. ასევე, სასურველია სამმართველოში გამოიყოს კონკრეტული პირი, რომელსაც დაევალება აღნიშნული ფუნქციის შესრულება, რასაც იგი განახორციელებს გარკვეული პერიოდულობით. მნიშვნელოვანია, აღნიშნულმა პირმა პენიტენციური დაწესებულებები შეამოწმოს წინასწარი გაფრთხილების გარეშე, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში კი ინფორმაცია მიაწოდოს ეკონომიკურ დეპარტამენტს (დღეის მდგომარეობით, ინფრასტრუქტურული განვითარების სამმართველოში ამ ფუნქციის შესასრულებლად რომელიმე სპეციალისტი გამოყოფილი არ არის).

შესრულება: სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა შეისწავლა კრიზისული ვითარების პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებებში გასატარებელი ღონისძიებები. ამ ეტაპზე, შემუშავებული და მომზადებულია „ექსტრემალურ სიტუაციებში (ხანძრის, სტიქიური უბედურების, მასობრივი არეულობის, მასობრივი დაუმორჩილებლობის ან სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების დროს, ქვეყანაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში) დაწესებულების პირადი შემადგენლობის მიერ პენიტენციურ დაწესებულებაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ერთიანი გეგმის პროექტი.

2021-2022 წლებში, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა პენიტენციურ დაწესებულებებსა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესაბამის დანაყოფებში არსებული ცეცხლმაქრების გადამუხტვა და დამატებით ახალი ცეცხლმაქრების შეძენა. 2022-2023 წლებში, მომზადდა და ყველა პენიტენციური დაწესებულების შენობა-ნაგებობაში განთავსდა უსაფრთხოების საევაკუაციო გეგმა (ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმა). სპეციალური პენიტენციური სამსახური აგრძელებს მუშაობას მომავალში ყველა პენიტენციური დაწესებულების სახანძრო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის მიზნით.

— **სუიციდის პრევენციის პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება**

რეკომენდაცია: მიზანშეწონილია, პროგრამით განსაზღვრული მიზნის შესასრულებლად, სუიციდის რისკის მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა იდენტიფიცირება და სუიციდით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება, დაიხვეწოს სუიციდის რისკის მიმოხილვითი შეფასებისას ქულების მინიჭების სქემა, რათა არ მოხდეს ისეთი პატიმრებისთვის დაბალი რისკის განსაზღვრა (რაც ნიშნავს პატიმრის დარჩენას სუიციდის პრევენციის პროგრამის მიღმა), რომლებიც ობიექტურად არიან საშუალო ან/და მაღალი რისკის მატარებელნი.

მიზანშეწონილია, სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართულ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეფექტურ კონტროლს დაქვემდებარებულ პირთა პენიტენციური დაწესებულების გარეთ ყოფნის სამართლებრივი რეგულირების სფეროში მოქცევა, ამ მიზნით საუკეთესო ევროპული გამოცდილების კვლევა და პრაქტიკაში მისი დანერგვა.

შესრულება: ამ ეტაპზე რეკომენდაცია არ შესრულებულა.

— **ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ესკორტირების განმახორციელებელ თანამშრომელთა მორიგეობასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება**

რეკომენდაცია: მიზანშეწონილია სამართლებრივ აქტებში მკაფიოდ დარეგულირდეს ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით შესაბამის საექსპერტო დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ქცევაზე ზედამხედველობის, მეთვალყურეობისა და კონტროლის წესები და სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა ვალდებულებები (მათ შორის, ვიზუალური ან/და ელექტრონული მეთვალყურეობა), რომელთა შესრულების შემთხვევაშიც აღნიშნული კატეგორიის პატიმართა უსაფრთხოება უკეთ იქნება დაცული.

შესრულება: 2024 წლის 1 იანვრიდან, ამოქმედდა ახალი პენიტენციური კოდექსი, რომელმაც ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებებისა და უსაფრთხოების უფრო მაღალი სტანდარტის დაცვის მიზნით დაარეგულირა ვიზუალური ან/და ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელების შესაძლებლობა პენიტენციური დაწესებულების გარეთ, მათ შორის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოებსა ან/და საექსპერტო დაწესებულებებში.

— **დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაუბრკოლებელი შესვლა**

რეკომენდაცია: სამსახურის წარმომადგენლებს შეეძლოთ დროებითი მოთავსების იზოლატორებში სათანადო ნებართვის გარეშე, დაუბრკოლებლად შესვლისა და ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენების შესაძლებლობა.

2023 წლის 06 ოქტომბერს შევიდა ცვლილება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებასა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 02 აგვისტოს N423 ბრძანებაში, რომლის საფუძველზეც სამსახურის წარმომადგენლებს მიენიჭათ დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაუბრკოლებლად, სათანადო ნებართვის გარეშე, შესვლის უფლება.

— **შეტყობინებების მაღალი მაჩვენებელი და პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები**

პრევენციული ზომების გატარების მიზნით სპეციალური საგამოძიებო სამსახური საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აწვდის ანალიტიკურ ინფორმაციას იმ კონკრეტული საპოლიციო დანაყოფების თაობაზე, სადაც წლის განმავლობაში არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით პრეტენზიების/საჩივრების მატების ტენდენცია შეინიშნება. აღნიშნული ტიპის ინფორმაციის მიწოდება, უწყებას აძლევს საშუალებას გაატაროს პრევენციული მოქმედებები არასათანადო მოპყრობის ფაქტებისა და რისკების შესამცირებლად.

— **ვიდეო ჩანაწერებზე წვდომის უზრუნველყოფა**

რეკომენდაცია: შინაგან საქმეთა სამინისტრომ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან თანამშრომლობით შეიმუშაოს სახელმძღვანელო მითითება/რეკომენდაცია, რომლის მეშვეობითაც სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეებზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ვიდეო ჩანაწერების გადმოცემა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოწოდება მოხდება შემჭიდროებულ ვადებში.

შესრულება: ამ ეტაპზე რეკომენდაცია არ შესრულებულა.

პრევენციის საბჭომ, ასევე, განიხილა სამსახურის მიდგომა - აქტიურ რეჟიმში სამართალდამცავების გამოკითხვასა და მათ ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით. 2022 წლის 1 მარტიდან 2023 წლის დეკემბრის ჩათვლით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ მოქალაქეთა საჩივრებთან და პრეტენზიებთან დაკავშირებით, 4050 სამართალდამცავია გამოკითხული.

ეს მოცემულობა ცხადად აჩვენებს სახელმწიფოს მაღალ პასუხისმგებლობას არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის მიმართულებით. სამართალდამცავებს, განურჩევლად მათი თანამდებობისა, რანგისა თუ პოზიციისა, მათ მიერ განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებით, მოქალაქის პრეტენზიის ან საჩივრებთან

დაკავშირებით აქტიურად უწევდათ საგამოძიებო ორგანოში გამოცხადება, რამდენიმე საათის განმავლობაში გამომძიებლის შეკითხვებზე პასუხის გაცემა და მათ შორის, დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრება.

ამ პროცესში ფაქტიურად არცერთი ის სამართალდამცავი, რომლის მიმართაც საჩივარი არსებობდა, არ დარჩენილა პასუხისმგებლობის მიღმა და შესაბამისად, არ დარჩენილა პასუხგაუცემელი შეკითხვები. სწორედ ამას მოწმობს 4050 სამართალდამცავის გამოკითხვა.

საკითხისადმი ამდაგვარმა მიდგომამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ამ კატეგორიის დანაშაულის პრევენციაზე. არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეებზე შეინიშნება ფაქტებისა და შესაბამისად, გამოძიების დაწყების მაჩვენებლის კლება.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური მომდევნო წლებშიც, აქტიურად შეეცდება, რათა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა, დანაშაულზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების გარდა, დანაშაულის პრევენციით განხორციელდეს. ამ პროცესში კი გადამწყვეტი როლი სწორედ სამოხელეო დანაშაულის პრევენციის საბჭომ უნდა შეასრულოს.

3.3. მსხვერპლთა უფლებების დაცვის სამმართველოს შექმნა

მოხელის მიერ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი, დროული და დამოუკიდებელი გამოძიება ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგის თანახმად, ქვეყანამ აიღო პასუხისმგებლობა საერთაშორისო ვალდებულებების სათანადოდ შესრულების გზით, არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის მიზნით ეფექტიანი რეფორმები განახორციელოს.

გამოძიების მიმდინარეობისას მსხვერპლის/დაზარალებულის ჩართულობა და ინფორმირებულობა თავის მხრივ უზრუნველყოფს როგორც ეფექტიან გამოძიებას, ასევე, ზრდის მოქალაქის ნდობას მისი უფლებების შელახვასთან დაკავშირებული გამოძიების შედეგთან მიმართებით.

სამსახურში დამტკიცდა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა და ინფორმაციის მიწოდების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც დაზარალებულის სტატუსის არმქონე პოტენციურ ყველა მსხვერპლს, სისხლის სამართლის საქმესთან წვდომისა და საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობას აძლევს.

2023 წლის მარტში, ახალი სტრუქტურული ერთეული - მსხვერპლთა უფლებების დაცვის სამმართველო შეიქმნა, რომლის ძირითად ფუნქციას საგამოძიებო პროცესში მსხვერპლთა და დაზარალებულთა ჯეროვანი ჩართულობის, ინფორმირებისა და მათი მხრიდან მინიჭებული უფლებებით პრაქტიკაში დაუბრკოლებლად სარგებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ასევე,

- მათთვის კონსულტაციის გაწევა და სხვა დაწესებულებასთან გადამისამართება, იმ შემთხვევაში თუ, მოთხოვნა სცდება სამსახურის კომპეტენციას;
- დაზარალებულისთვის/მოწმისათვის უფლება-მოვალეობების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება და მათთან ჯეროვანი კომუნიკაციის უზრუნველყოფა;
- მსხვერპლთან შეხვედრა და მის მიერ საკუთარი უფლებებით სარგებლობის ხელშეწყობა, მათ შორის, საქმის მასალების გაცნობის პროცესის დაგეგმვა/ორგანიზება;
- ბრალდებულის ან მისი ნათესავების, ასევე, პროცესის სხვა მონაწილის მხრიდან მოწმის ან/და დაზარალებულის/მსხვერპლის სიცოცხლისთვის/ჯანმრთელობისთვის საფრთხის არსებობის შემთხვევაში, ინფორმაციის გამომძიებლისთვის მიწოდება და დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების საჭიროების განსაზღვრის პროცესში მონაწილეობა/პროცესის ხელშეწყობა; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებისთვის საქმის მასალების გაცნობის პროცესის ორგანიზება.

3.4. სამსახურის 2023-2028 წლების განვითარების სტრატეგია

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, განვითარების 6 წლიანი სტრატეგია (2023-2028 წლები) დაამტკიცა. იდენტიფიცირდა სამსახურის წინაშე არსებული გამოწვევები, საჭიროებები და შესაძლებლობები, რასაც შემდგომ პოლიტიკის დოკუმენტები დაეფუძნა.

სტრატეგიის განხორციელების პერიოდში უკვე შემუშავდა პირველი 2 წლიანი სამოქმედო გეგმა და დაგეგმილია შემდგომი 2-2 წლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებაც, რომელშიც ორგანიზაციის სტრატეგიული პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად განისაზღვრა კონკრეტული ღონისძიებები, მათი შედეგების ინდიკატორები, პასუხისმგებელი უწყებები, შესრულების ვადები და დაფინანსების წყაროები.

სტრატეგიის ფარგლებში პირველი სამოქმედო გეგმა (2023-2024წწ.) შემუშავდა, რომელშიც გაიწერა 80 სხვადასხვა ღონისძიება.

დამტკიცებული სტრატეგიის **მიზანია** ორგანიზაციის ინსტიტუციური გაძლიერების, მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი გამოძიების პოლიტიკის შექმნა, სამსახურის მუშაობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდით საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება, ადამიანის უფლებების დამატებითი გარანტიების შექმნა და ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფა.

დოკუმენტებზე მუშაობა ევროპის საბჭოს პროექტის „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში“ ფარგლებში მიმდინარეობდა და მისი ექსპერტიზა ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით განხორციელდა.

3.5. დამოუკიდებელი საზედამხედველო უწყებების საერთაშორისო ქსელში (IPCAN) გაწევრიანება

2023 წლის მაისში სპეციალური საგამოძიებო სამსახური პოლიციის მიმართ საჩივრების განმხილველ დამოუკიდებელ ორგანოთა ქსელის (Independent Police Complaints Authorities' Network) წევრი ოფიციალურად გახდა.

დამოუკიდებელი საზედამხედველო უწყებების საერთაშორისო ქსელის (IPCAN) ყოველწლიური შეხვედრა, 2023 წლის 23 მაისს, საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში გაიმართა, რომელსაც საფრანგეთის ადამიანის უფლებათა დამცველი და IPCAN-ის თავჯდომარე კლერ ჰედონი უძღვებოდა.

საერთაშორისო ქსელი ინგლისის და უელსის, საფრანგეთის, ბელგიის, ირლანდიის, დანიის, ნორვეგიის, ესპანეთის და ევროკავშირის წევრი ქვეყნების დამოუკიდებელ საგამოძიებო სამსახურებს და ომბუდსმენის ინსტიტუტებს აერთიანებს.

საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობის მთავარ მიზანს წევრი ინსტიტუტების კოორდინირებული მუშაობის გზით, მათი გაძლიერება, მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებების დაცვა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

წლიური შეხვედრა საერთაშორისო ქსელის ახალი წევრების: საქართველოს, პოლონეთის და სლოვენიის წარდგენას, თანამშრომლობის გაძლიერებას და წევრი ქვეყნების მიერ ერთობლივად მისაღები დეკლარაციის განხილვას მიეძღვნა, რომელიც ითვალისწინებს რეკომენდაციებს საპოლიციო ღონისძიებების განხორციელების დროს მოქალაქეთა უფლებების დაცვისა და ეფექტური ზედამხედველობის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

IPCAN

დეკლარაცია

პოლიციის მიერ ძალის გამოყენების შესახებ

მაისი 2023

ჩვენ, საპოლიციო სარეგისტრაციო დამოუკიდებელი საუზადამხედველო ორგანოების ქსელის (IPCAN) წევრები:

- კოსოვტები P (ბელგია)
- ომბუდსმენის ოფისი (ნორვეგია)
- დამოუკიდებელი საპოლიციო საჩივრების ორგანო (დანია)
- საპარლამენტო ომბუდსმენი (ესპანეთი)
- უფლებების დამცველი (საფრანგეთი)
- **სპეციალური საგამოძიებო სამსახური (საქართველო)**
- ადამიანის უფლებების კომისარის ოფისი (პოლონეთი)
- „ეარეკა სოჩ�" (ირლანდია)
- ომბუდსმენის ოფისი (ინგლისი)
- საპოლიციო საქმეების გამოძიების ნორვეგიის ბიურო (ნორვეგია)
- სეფერეთის მოქალაქეების უფლებების დამცველი (ბერძნეთი)
- ადამიანის უფლებების დამცველი (პორტუგალია)
- ადამიანის უფლებების ომბუდსმენი (სლოვენია)
- პოლიციის მედიატორის ოფისი (მეკედონია)
- პოლიციის ომბუდსმენი (ჩრდილოეთი ირლანდია)
- საპოლიციო ჩვეულებების დამოუკიდებელი ოფისი (ინგლისი და უელსი)

2023 წლის 23 მაის სტრასბურგში გამართული IPCAN-ის მე-8 წლიური შეხვედრის შემდეგ, და 2023 წლის 24-25 მაის ევროპის საბჭოს პოლიციის რაციონალური კონტროლიმდებლების ჯგუფის ყოველწლიური კონფერენციის „პოლიციის საქმიანობა ძალადობისა და ძალის გამოყენების კონტექსტში" დამსწრეთა გამეფიანდეგი საპოლიციო სამსახურების მიერ ძალის გამოყენების, საკერო დეფინიციურების მხრივობა და სასრულოდ ალეთიი პოლიტიკა,

ერთად აღმოვაჩინეთ გარკვეული ნიმოთელები და გამოწვევები.

***

3.6. შიდა სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო ქსელში (ICIN) გაწევრიანება

2023 წლის 24 ოქტომბერს, ქ. ლონდონში შიდა სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო ქსელის (Internal Criminal Investigations Network) ყოველწლიური შეხვედრის ფარგლებში გამართულ გენერალურ ასამბლეაზე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქსელში გაწევრიანებას ორგანიზაციის ყველა წევრმა დაუჭირა მხარი.

აღნიშნულ წლიურ შეხვედრას წელს ქ. ლონდონში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მეტროპოლიტენის პოლიციამ ნიუ სკოტლანდ იარდში უმასპინძლა.

კენჭისყრის შედეგად, გენერალურმა ასამბლეამ მხარი ერთხმად დაუჭირა ქსელში საქართველოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის, უკრაინის გამოძიების სახელმწიფო ბიუროს, გერმანიის და ფინეთის საზედამხედველო სამსახურების ოფიციალურ გაწევრიანებას.

საერთაშორისო ქსელის წევრი 26 ქვეყანაა, მათ შორისაა, ბელგიის პოლიციის მონიტორინგის მუდმივმოქმედი კომიტეტი, დანიის საპოლიციო საჩივრების დამოუკიდებელი სამსახური, ნორვეგიის პოლიციის საქმეთა გამოძიების ბიურო, შვედეთის სპეციალური საგამოძიებო დეპარტამენტი, ლიეტუვას იმუნიტეტის საბჭო, ნიდერლანდების დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანო, დიდი ბრიტანეთის მეტროპოლიტენის პოლიციის პროფესიული სტანდარტების დეპარტამენტი და ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნების დამოუკიდებელი საგამოძიებო და საზედამხედველო ფუნქციის მქონე უწყებები.

შიდა სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო ქსელის (ICIN) მიზანია, უზრუნველყოს საერთაშორისო პლატფორმა სამართალდამცავი ორგანიზაციების პროფესიონალთათვის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პოლიციის ან/და საჯარო მოხელეთა თანამშრომლების მიერ ჩადენილი დანაშაულებების გამოძიებაზე. ზემოაღნიშნული პლატფორმა უზრუნველყოფს წევრ ორგანიზაციებს შორის დანაშაულის გამოძიების მეთოდების, პრევენციისა თუ გამოვლენის შესახებ საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას; ქსელის მასშტაბით, წევრ ორგანიზაციათა ერთობლივი ტრენინგის წახალისებას და სხვა.

The 2nd Annual General Meeting of the
Internal Criminal Investigations Network - London 2023

ICIN

ICIN ქსელი 2020 წლის მარტში დაარსდა და წევრთა პირველი შეხვედრა 2021 წლის მაისში გაიმართა. 2023 წლიდან გაერთიანების თავმჯდომარეა მარტინ ვალფრიდსონი, რომელიც ამავდროულად შვედეთის სპეციალური საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელია.

3.7. „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპელ პარტნიორთა ქსელში“ (EPAC) გაწევრიანება

2023 წლის 3 ნოემბერს სპეციალური საგამოძიებო სამსახური „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპელ პარტნიორთა ქსელის“ (The European Partners against Corruption/EPAC) წევრი გახდა.

ქ. დუბლინში, რიგით 22-ე ყოველწლიურ გენერალურ ასამბლეაზე, საქართველოს დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის ქსელში გაწევრიანებას ორგანიზაციის ყველა წევრმა მხარი დაუჭირა. „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპელ პარტნიორთა ქსელი“ დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ანტიკორუფციულ და პოლიციის საზედამხედველო 109 უწყებას აერთიანებს. მისი საქმიანობის მთავარი მისია საპოლიციო ზედამხედველობის მექანიზმებისა და ანტიკორუფციული მუშაობის ეფექტიანი სისტემების განვითარება, წევრ ინსტიტუტებს შორის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა და თანამშრომლობის გაძლიერებაა.

საერთაშორისო ქსელი (EPAC) სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების, საერთო სტრატეგიების, მაღალი პროფესიული სტანდარტების შემუშავების და დანერგვის მნიშვნელოვან შესაძლებლობას წარმოადგენს.

წელს, ასამბლეას ირლანდიის „გარდა სოჩანას ომბუდსმენის კომისიამ“ და ანტიკორუფციულმა სააგენტოებმა ქ. დუბლინში, „კროკ პარკში“ უმასპინძლეს, რომელშიც 30 ქვეყნიდან, 200-ზე მეტი დელეგატი მონაწილეობდა. 22-ე გენერალურ ასამბლეაზე ორგანიზაციის პრეზიდენტად ლიეტუვას სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსი ლინას პერნავას აირჩიეს, რომელიც ორგანიზაციას მომდევნო 2 წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

ზემოაღნიშნული საერთაშორისო ქსელების წევრობით სამსახურს შესაძლებლობა ექნება პირდაპირი კომუნიკაცია ჰქონდეს მსგავსი კომპეტენციის მქონე ორგანოებთან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან; გაეცნოს სამართალდამცავი ორგანოების ზედამხვედველობის კუთხით არსებულ კონკრეტულ გამოწვევებსა და გადაჭრის გზებს; მონაწილეობა მიიღოს ღონისძიებებში, რომლებიც აერთიანებს საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. საბოლოო ჯამში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფრო ეფექტიანად მუშაობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას უზრუნველყოფს.

3.8. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების კვალიფიკაციის სახელმძღვანელო

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების კვალიფიკაციის განსაზღვრისათვის სახელმძღვანელო დოკუმენტი შეიმუშავა, რომლის განხილვა და პრეზენტაციაც ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, სახალხო დამცველის აპარატის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრის წარმომადგენლებთან ერთად მოხდა.

კვალიფიკაციის დამდგენი სახელმძღვანელო დოკუმენტი არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეებზე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებზე

დაყრდნობით განსაზღვრავს, ქმედება რა შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს უპირობოდ წამებად, დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობად და რა შემთხვევაშია დასაშვები ქმედების კვალიფიკაცია, როგორც სამოხელეო დანაშაული. აღნიშნული დოკუმენტი ხელს უწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას და ამცირებს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევების სამოხელეო დანაშაულით გადაფარვის რისკებს.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია ქმედების დანაშაულად სწორად დაკვალიფიცირების მნიშვნელობა. გამოძიების ეტაპზე არასწორად დაკვალიფიცირებული დანაშაული საფრთხეს უქმნის მსხვერპლის ნდობის ჩამოყალიბებას, გამოძიების პროცესში ჩართულობასა და დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებას.

სახელმძღვანელო ევროკავშირის (EU), გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) ერთობლივი ინიციატივის „ადამიანის უფლებები ყველასათვის – ფაზა 2“ ფარგლებში, ექსპერტის მიერ შემუშავდა და 2023 წლის 31 ივლისს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცდა.

კვალიფიკაციის გამიჯვნის დოკუმენტი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებს აძლევს საშუალებას, მაქსიმალურად სწრაფად და სწორად შეძლონ არასათანადო მოპყრობის საქმეებზე კვალიფიკაციის განსაზღვრა. დოკუმენტის შემუშავების პროცესში, ასევე, ჩართული იყვნენ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები.

3.9. სპეციალიზებული (მესამე) სამმართველოს შექმნა

განხორციელებული სტრუქტურული ცვლილების შედეგად, 2023 წლის მარტში, სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ფარგლებში მესამე, სპეციალიზებული სამმართველო შეიქმნა.

ახალი სამმართველოს შექმნის მიზანი, სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობის ზრდასთან ერთად, სწრაფი და ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების გატარებაა. კერძოდ, ახალი დანაყოფის ამოქმედება, საგამოძიებო დეპარტამენტს აძლევს შესაძლებლობას, ჰყავდეს სპეციალიზებული გამომძიებლები, რომლებიც მოქალაქეთა პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფისა და დისკრიმინაციული ტიპის დანაშაულების გამოძიებაზე მუშაობენ.



აღნიშნული ერთის მხრივ, ხელს უწყობს ამ ტიპის დანაშაულზე ეფექტიანი გამოძიების წარმოებისა და დანაშაულის გახსნის პროცესს, ხოლო მეორე მხრივ, სამსახურს აძლევს საშუალებას არასათანადო მოპყრობისა და სამართალდამცავების მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულების გამოძიებისთვის არსებული რესურსი მაქსიმალურად გამოიყენოს და ამ კატეგორიის დანაშაულებზე მომუშავე გამომძიებლებს არ დააკისროს განსხვავებული კატეგორიის საქმეთა გამოძიება, რამაც შესაძლოა სამსახურის შექმნის მთავარი მიზნიდან - არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა, გადახვევის რისკები შექმნას.

3.10. სათავო ოფისის მშენებლობა

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, 2023 წლის 2 ნოემბერს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით ახალი სათავო ოფისის ასაშენებლად ღია ტენდერი გამოაცხადა, გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულება გააფორმა და მშენებლობის პროცესი დაიწყო.

ტენდერის გამოცხადებამდე სამსახურმა არქიტექტურული პროექტის შემუშავების მიზნით, ღია კონკურსის საფუძველზე კომპანია შეარჩია და 2023 წლის ივნისში, ახალი სათავო ოფისის პროექტის პრეზენტაცია სახალხო დამცველის აპარატის, საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის, სამშენებლო კომპანიებისა და მედიის წარმომადგენლებს საჯაროდ წარუდგინა.

3.11. ერთიანი საგამოძიებო პოლიტიკის დანერგვა

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ამოქმედებისთანავე, სამ მთავარ პრიორიტეტად მაღალი სტანდარტი, გამჭვირვალე გამოძიება და მოქალაქეთა უფლებების დაცვაზე ზრუნვა აირჩია. დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი გახდა ერთიანი საგამოძიებო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც, გულისხმობს მოქალაქეებთან, საჯარო უწყებებთან ურთიერთობისას, საგამოძიებო მოქმედებების წარმართვისა და დაგეგმვისას, საგამოძიებო პროცესში სხვადასხვა საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას ერთიანი მიდგომებისა და სტანდარტების შემუშავებასა და ამ ყველაფრის ერთიან სტრატეგიასა და პოლიტიკაში მოქცევას.

გამომძიებელთა საქმიანობის ხარისხის შეფასების სახელმძღვანელო

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, აწარმოოს ეფექტიანი გამოძიება, რომელიც უნდა იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, სწრაფი და ზედმიწევნითი, მასში ჩართული უნდა იყოს დაზარალებული ან დაზარალებულის ოჯახის წევრი და უნდა ხორციელდებოდეს საზოგადოებრივი კონტროლი.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა შეიმუშავა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის ინსტრუქცია, რომლის მიზანია განსაზღვროს გამოძიების ხარისხის შეფასების ერთიანი სტანდარტი და დეტალურად გაწეროს ყველა ის კრიტერიუმი, რომელთა ჯეროვნად შესრულება დააკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების პრინციპებს. სახელმძღვანელოს, ევროპის საბჭოს პროექტის „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში“ ფარგლებში შესაბამისი ექსპერტიზა ჩაუტარდება.

გამოძიების ეფექტიანობის შეფასების მიზნებისთვის, მონიტორინგს ექვემდებარება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ყველა საგამოძიებო დანაყოფი. სისხლის სამართლის საქმეებიდან, გამოძიების ხარისხის მონიტორინგს ექვემდებარება ყველა ის საქმე, რომელზეც არ არის მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

ხელბორკილების გამოყენების მიზანშეწონილობისა და წესების სახელმძღვანელო

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ხელბორკილის გამოყენების მიზანშეწონილობისა და წესების შესახებ დოკუმენტი შეიმუშავა, რომლის პრაქტიკაში დანერგვა, ერთის მხრივ უფრო მეტად დაცულს გახდის დაკავებული პირების უფლებებს, ხოლო მეორე მხრივ, აამაღლებს დამკავებელი პირების პროფესიულ სტანდარტებს.

ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო დოკუმენტი ევროკავშირისა (EU) და გაეროს ადამიანის

უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერით შეიქმნა და დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ ჩატარებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების ანალიზსა და უცხო ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების კვლევას ეფუძნება.

ქ. ლონდონში ვიზიტისას, ბრიტანელ კოლეგებთან თანამშრომლობის შედეგად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის ხელმისაწვდომი გახდა ლონდონის მეტროპოლიტენის პოლიციის სპეციალური ოპერატიული დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება ლონდონში დაკავების ღონისძიებების დროს ხელბორკილის და სამართალდამცავთა მხრიდან ძალის გამოყენების შემთხვევები. შესაბამისად სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავებისას ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან ერთად გათვალისწინებულია მეტროპოლიტენის პოლიციის გამოცდილება და მათი პროფესიული სტანდარტებიც.

სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელმაც ხელბორკილის გამოყენების ერთიანი სტანდარტი უნდა დაამკვიდროს და შეამციროს დაკავებული პირების მიმართ ხელბორკილის არამართლზომიერად გამოყენების რისკები, უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს წარედგინა და მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით დადებითად შეფასდა.

გამოკითხვის ჩატარებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მოწმესთან, დაზარალებულთან კომუნიკაციის და საგამოძიებო მოქმედება - გამოკითხვის ეფექტიანად წარმართვისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტი შეიმუშავა.

გამოძიებისას ინფორმაციის მიღების მთავარი საშუალება საგამოძიებო მოქმედება - გამოკითხვაა, რომლის მაღალი სტანდარტით ჩატარებაც პრიორიტეტულია ნებისმიერი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეში, მით უფრო არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეებში. გამოძიების მაღალი სტანდარტების დაცვა და ეფექტიანად გამოკითხვის წარმართვა ხელს უწყობს სამართლიანობის აღდგენასა და კანონის უზენაესობის განმტკიცებას.

სახელმძღვანელო, ევროპის საბჭოს პროექტის „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში“ ფარგლებში ერთობლივად შემუშავდა და მისი მიზანია დაეხმაროს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებს პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებაში, გამოძიებისთვის საინტერესო ინფორმაციის მოპოვებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლაში.

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმის დარღვევის ფაქტების გამოძიებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმის დარღვევის ფაქტების გამოძიებასთან მიმართებით სახელმძღვანელო დოკუმენტი შეიმუშავა.

ხელახალი გამოძიების წარმოების სახელმძღვანელო დოკუმენტის მთავარი მიზანია, შექმნას სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებისთვის მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური ინსტრუქცია ხელახალი გამოძიების წარმოების კუთხით.

სახელმძღვანელო, ევროპის საბჭოს პროექტის „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში“ ფარგლებში შემუშავდა და ეფუძნება დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ ჩატარებულ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების ანალიზსა და უცხო ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების კვლევას.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მხრიდან წარმოებული ხელახალი გამოძიება უნდა შეესაბამებოდეს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, ECHR-ის დამკვიდრებულ პრაქტიკასა და პროცედურული ნაწილის ზოგად მოთხოვნებს.

უფლებადამცველის მონაწილეობით მიმდინარე გამოძიების შესახებ რეკომენდაცია

სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე და მისი რელევანტური შენიშვნების გათვალისწინებით, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ადამიანის უფლებათა დამცველის მონაწილეობით, არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების შესახებ რეკომენდაცია შეიმუშავა, რომლის ძირითადი მიზანია, უფლებადამცველების მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

რეკომენდაცია ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დამცველის ცნების განმარტებას და აქცენტს აკეთებს უფლებადამცველის მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას გამოსაკვეთ გარემოებებზე, ასევე, ორიენტირებულია სამსახურის ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას მათში მონაწილე ადამიანის უფლებადამცველების პირადი ღირსებისა და უსაფრთხოების დაცვაზე.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, მემორანდუმი და სახელმძღვანელო დოკუმენტი

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა. სიძულვილის მოტივის ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირება, გამოძიება და სათანადო აღრიცხვა ეფექტიანი გამოძიების წარმოების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

2023 წლის 5 ოქტომბერს, ევროპის საბჭოს პროექტის - „თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ეფექტური მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის მონაწილეები არიან სპეციალური საგამოძიებო სამსახური, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს უზენაესი სასამართლო და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

მემორანდუმის ფარგლებში, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, სრულყოფილი, ზუსტი და სარწმუნო სტატისტიკის წარმოება დაიწყო.

ევროპის საბჭოს პროექტის „თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ეფექტური მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი, სწრაფი და ყოვლისმომცველი გამოძიების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი შემუშავდა, რაც სამსახურის საქმიანობის სპეციფიკასთან შესაბამისობაში მოიყვანეს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამოძიების ხარისხის მონიტორინგისა და ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომლებმა.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი, სწრაფი და ყოვლისმომცველი გამოძიების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცდება და ძალაში 2024 წლიდან შევა.

ასევე, ერთიანი საგამოძიებო პოლიტიკის შემუშავებისთვის მნიშვნელოვანი იყო წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების კვალიფიკაციისთვის სახელმძღვანელოს შექმნა და მისი პრაქტიკაში ამოქმედება.

საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა

4.1. საზოგადოებასთან ურთიერთობა

შექმნის დღიდან, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის ანგარიშვალდებულება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. საგამოძიებო ორგანოები მათი სამართლებრივი სტატუსიდან და საგამოძიებო მოქმედებების სპეციფიკიდან გამომდინარე, საზოგადოების თვალში ხშირად დახურულ უწყებებად აღიქმებიან. შესაბამისად, საგამოძიებო პროცესის უფრო მეტად ღიაობისა და გამჭვირვალობისათვის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო მასალები პროაქტიულ რეჟიმში ყველა მედიასაშუალებას ეგზავნება, ასევე, ტრადიციული მედიასაშუალებების გარდა, სამსახურის ოფიციალური გვერდების - Facebook, twitter, Youtube-ის საშუალებით ქვეყნდება.



სამსახური მაღალი ინტერესის მქონე სისხლის სამართლის საქმეებზე, განხორციელებულ პროექტებთან და აქტივობებთან დაკავშირებით საზოგადოებას ამომწურავ ინფორმაციას აწვდის.

2023 წელს სამსახურის მიერ ჯამში 108 პრესრელიზი გავრცელდა.

საანგარიშო პერიოდში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელდა 49 ოფიციალური განცხადება, ჩატარდა 2 ბრიფინგი, გაიმართა 57-მდე საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა. ზემოაღნიშნული ინფორმაცია განთავსდა, როგორც საინფორმაციო სააგენტოებზე, ასევე, გაშუქდა სატელევიზიო არხების მიერ.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, მისი უფლებამოსილების შესახებ საინფორმაციო პოსტერები შეიმუშავა და თბილისის მეტროს მატარებლებსა და ავტობუსებში განათავსა.

საინფორმაციო პოსტერზე წარმოდგენილია ინფორმაცია სამსახურის ფუნქციების და იმ დანაშაულების შესახებ, რომელსაც სპეციალური საგამოძიებო სამსახური იძიებს. პოსტერის საშუალებით, მოქალაქე, ასევე, მიიღებს ინფორმაციას, თუ რა შემთხვევაში და როგორ უნდა დაუკავშირდეს აღნიშნულ სამსახურს. ეს ინიციატივა ევროკავშირის (EU), გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (UN OHCHR), ქალაქ თბილისის მერიის და შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მხარდაჭერით განხორციელდა.



ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, კახეთის, აჭარის, სამეგრელოს და იმერეთის რეგიონებში მოსახლეობასთან, სამსახურის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო ხასიათის 8 შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მიზანს ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის მანდატის და როლის თაობაზე, ასევე, სერვისების ხელმისაწვდომობისა და სამართალდამცავების მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიების გზით, ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენდა.

რეგიონული შეხვედრები ევროპის საბჭოს პროექტის - „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში“ ფარგლებში მიმდინარეობდა.

2023 წელს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებმა, ასობით სტუდენტთან და მოსწავლესთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართეს და სამსახურის სტრუქტურა, ძირითადი ფუნქციები, მიმდინარე აქტუალური თემები და საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად მნიშვნელოვანი ინფორმაცია გააცნეს.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანია - პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფის საკითხებზე, პირველ ეტაპზე, ქ. თბილისში, ქ. ბათუმში, ქ. ზუგდიდში, ქ. ქუთაისსა და ქ. თელავში მდებარე საჯარო სკოლებში ჩატარდა.

2023 წელს, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 34 განცხადება. წარმოდგენილი განცხადებებიდან, საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად სრულად გაიცა 26 შემთხვევაში, 6 შემთხვევაში - ნაწილობრივ, ხოლო 2 შემთხვევაში უარი ეთქვა განმცხადებელს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

4.2. ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა კოკა კაციტაძემ, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის, ასევე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომებზე სამსახურის მიერ 2022 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარადგინა.

ანგარიშში წარმოდგენილი იყო სამსახურის მიერ 2022 წელს განხორციელებული ყველა პროექტი და რეფორმა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამსახურის ინსტიტუციურ და ორგანიზაციულ განვითარებას, გამოძიების ხარისხის უზრუნველყოფას, მსხვერპლთა/დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას, გამჭვირვალობას, თანამშრომლობაზე დაფუძნებული მიდგომების განვითარებას, ევროკომისიის - 12 პუნქტიან გეგმაში ასახული რეკომენდაციებისა და შიდასახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. ანგარიში ასევე, მოიცავდა სისხლის სამართლის საქმეებზე სტატისტიკურ ინფორმაციას.

ანგარიშში, ასევე, საუბარი შეეხო სამართალდამცავთა საქმიანობის ცალკეულ ტენდენციებს და გამოძიებით დადგენილი ხარვეზების გამოსასწორებლად შესასრულებელ რეკომენდაციებს.

4.3. საერთაშორისო კონფერენცია

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ორგანიზებითა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, მსხვერპლთა უფლებების დაცვისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიების თაობაზე კონფერენცია გაიმართა.

ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელმა **ნატალია ვუტოვამ**, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის, ადამიანის უფლებათა დირექტორატის ხელმძღვანელმა **კრისტოფ პუარელიმ**, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა** და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა **კოკა კაციტაძემ** გახსნეს.

კონფერენცია მიზნად ისახავდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ მსხვერპლთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შემუშავებული ინიციატივებისა და ჩატარებული რეფორმების შეფასებას, ასევე, ეფექტიანი გამოძიების სტანდარტების განხილვას. აღნიშნულ ღონისძიებაზე მოწვეული იყო ყველა მედიასაშუალების წარმომადგენელი, რომელთაც ღონისძიების ბოლოს სამსახურის უფროსისა და მოწვეული სტუმრებისათვის კითხვების დასმის შესაძლებლობა ჰქონდათ.

IGATION INTO ILL-TREATMENT AND PROTECTION OF VICTIM'S RIGHTS:
THE ROLE OF SIS

ENSURING EFFECTIVE INVESTIGATION INTO ILL-TREATMENT AND PROTECTION OF VICTIM'S RIGHTS:

HOW TO FURTHER PROMOTE VICTIM-ORIENTATED APPROACH AND WITNESS PROTECTION IN
INVESTIGATIONS CARRIED OUT BY SIS

თანამშრომლობა

5.1. სახალხო დამცველთან თანამშრომლობა

2023 წლის 19 მაისს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსი კოკა კაციტაძე მოადგილეებთან ერთად, ახლად არჩეულ **საქართველოს სახალხო დამცველს ლევან იოსელიანს შეხვდა.** შეხვედრის მიზანი ორ უწყებას შორის სამომავლო თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერების საკითხების განხილვა იყო. სპეციალური საგამოძიებო სამსახური სახალხო დამცველის ოფისთან ნაყოფიერად თანამშრომლობს, რომელიც მოიცავს მიმდინარე გამოძიებების, მსხვერპლთა უფლებრივი მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის და სტატისტიკის მიწოდებას, ასევე, მოქალაქეთა უფლებების დარღვევის თაობაზე სახალხო დამცველის აპარატიდან შემოსულ შეტყობინებებს და მათზე რეაგირების მეთოდებს.

საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიმართ გაიცა ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სამსახურის მიერ უფლებადამცველის ცნების განსაზღვრასა და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემის წარმოებას. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის 2023 წლის 31 ივლისის ბრძანებით დამტკიცდა შესასრულებლად სავალდებულო რეკომენდაცია **„ადამიანის უფლებათა დამცველის მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების შესახებ.“** აღნიშნული რეკომენდაციით განისაზღვრა უფლებადამცველის ცნება და გაიწერება შესაბამისი სტატისტიკური მონაცემის წარმოების წესი.

სახალხო დამცველის ოფისიდან შემოვიდა 320 განცხადება (მათ შორის 8 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით), რომელზე რეაგირებაც კანონის სრული დაცვით განხორციელდა. სახალხო დამცველის ოფისმა 3 განცხადებით მოითხოვა 10 მიმდინარე და 72 შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმის გაცნობა, რომელთა გაცნობის შესაძლებლობაც სრული მოცულობით მიეცათ.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან და უფლებადამცველ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას და მათთან ერთობლივ პროექტებში მონაწილეობას მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს.

5.2. დიპლომატიურ კორპუსთან თანამშრომლობა

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და კოლეგა უწყებებთან შეხვედრების ორგანიზების, სამსახურის მანდატის გაცნობისა და ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსი 2023 წლის განმავლობაში **ავსტრიის რესპუბლიკის** საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში თომას მიულმანს, **ჩეხეთის რესპუბლიკის** საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში პეტრ მიკისკას, **რუმინეთის** საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში რეზვან როტუნდუსს, **ნიდერლანდების სამეფოს** საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში მაიკე ვან კოლდამს, **საფრანგეთის რესპუბლიკის** საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში შერაზ გასრის, **შვეიცარიის კონფედერაციის** საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ჰაიდი გრაუს და **სომხეთის რესპუბლიკის** საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში აშოტ სმბატიანს შეხვდა.



5.3. საერთაშორისო დელეგაციების ვიზიტები

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოცდილების გაზიარების მიზნით სომხეთის და თურქმენეთის დელეგაციებს უმასპინძლა. შეხვედრების მიზანს სხვადასხვა საგამოძიებო მიმართულებით ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარება და სამომავლო თანამშრომლობის გაძლიერება წარმოადგენდა. კერძოდ:

2023 წლის სექტემბერში სამსახურს ეწვია **სომხეთის რესპუბლიკის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარე არგიშთი კიარამიანი და მისი მოადგილე არსენ აივაზიანი.** ისინი ადგილზე გაეცნენ სამსახურის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ფუნქციებსა და იმ რეფორმებს, რომელიც სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამჭვირვალე გამოძიების სტანდარტების დასამკვიდრებლად გაატარა.

2023 წლის ნოემბერში, სამსახურს **თურქმენეთის დელეგაცია ეწვია, სახალხო დამცველის - იაზდურსუნ გურბანნაზაროვას ხელმძღვანელობით.** ისინი ადგილზე გაეცნენ სამსახურის საქმიანობას, განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებს.

5.4. საერთაშორისო თანამშრომლობა

სხვა ქვეყნის კოლეგა უწყებებთან ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატების განხორციელება გამოცდილების გაზიარების, ერთობლივ გამოწვევებზე მსჯელობისა და წარმატებული პრაქტიკების გაცნობის, მათ შორის, ერთობლივი სწავლების წახალისების მიზნით სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამ მიზნით, 2023 წლის განმავლობაში სამსახურის თანამშრომლები იმყოფებოდნენ **ბელგიაში, დიდ ბრიტანეთში, ირლანდიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.**

2023 წლის სექტემბერში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსი კოკა კაციტაძე ბელგიაში, ქალაქ ბრიუსელში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, მოადგილეებთან გიორგი კვარაცხელიასთან, ნათია სონღულაშვილთან და სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, კოლეგა უწყების **ბელგიის სამეფოს "პოლიციის მონიტორინგის მუდმივმოქმედი კომიტეტის" (Committee P)** პრეზიდენტს ქ-ნ ქეთლინ სტინკენსს და წევრებს შეხვდა.

ბელგიის სამეფოს მუდმივმოქმედი კომიტეტი (Standing Committee P) დამოუკიდებელი, საგამოძიებო ფუნქციის მქონე ორგანოა, რომელიც ანგარიშვალდებულია ბელგიის პარლამენტის წინაშე. სამსახური იძიებს ბელგიის მასშტაბით, სამართალდამცავების მიერ ჩადენილ განსაკუთრებით მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეებს. იგი, ასევე, მონიტორინგს ახორციელებს ქვეყანაში პოლიციის ეფექტიან ფუნქციონირებაზე.

ამავე ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსი **ბელგიის პოლიციის გენერალურ ინსპექტორს** ტიერი გილისს შეხვდა. ბელგიის ფედერალური და ადგილობრივი პოლიციის გენერალური ინსპექტორატი წარმოადგენს დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოს, რომელიც პოლიციის სამსახურების საქმიანობის შემოწმებას და პოლიციის გამართული ფუნქციონირებისთვის რეკომენდაციების გაცემას ისახავს მიზნად.

ბელგიაში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენელთა ოფიციალური ვიზიტი, ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის პროექტის „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში" მხარდაჭერით განხორციელდა.

2023 წლის ოქტომბერში სპეციალური საგამოძიებო სამსახური დიდ ბრიტანეთში ვიზიტის ფარგლებში **მეტროპოლიტენის პოლიციის (Metropilitan Pilice Service)** კომისრის მოადგილეებს

- მეთიუ ვორდისა და სტიუარდ ქანდინიუ შეხვდნენ.

შეხვედრაზე განიხილეს მეტროპოლიტენის პოლიციის ანტიკორუფციული სამსახურის მუშაობის სპეციფიკა, პოლიციელების მიერ ჩადენილი სამოხელეო დანაშაულების გამოძიებასთან დაკავშირებული გამოწვევები და დანაშაულის გამოვლენის თანამედროვე მეთოდები. ბრიტანელმა სამართალდამცავებმა ისაუბრეს დაკავებისას მოქალაქეთა უფლებების დაცვის სტანდარტებზე. მიმოიხილეს ხელბორკილებისა და ვიდეო სამხრე კამერების გამოყენების ინსტრუქციები, დემონსტრაციების მართვისას პოლიციის როლი და ძალის გადამეტების შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმები.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენელთა ოფიციალური ვიზიტი ქ. ლონდონში, ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის პროექტის „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში“ მხარდაჭერით მიმდინარეობდა.

2023 ნოემბერში, ირლანდიის რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლები უწყების- **„გარდა სოჩანა ომბუდსმენის კომისიის“ (GSOC)** კომისრებს - ემილი ლოგანსა და ჰიუ ჰიუმის შეხვდნენ.

„გარდა სოჩანა ომბუდსმენის კომისია“ (GSOC) დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოა, რომელიც ირლანდიაში, პოლიციელების მიერ ჩადენილ დანაშაულს იძიებს. იგი, ასევე, პოლიციის მიმართ საჩივრების განმხილველ დამოუკიდებელ ორგანოთა საერთაშორისო ქსელის (IPCAN) სამეთვალყურეო საბჭოს წევრია, რომელიც ეროვნული საპოლიციო ძალების ზედამხედველობას და მსხვერპლთა უფლებების დაცვას ისახავს მიზნად.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში შეხვედრაზე, მხარეებმა დამოუკიდებელი საგამოძიებო ფუნქციის მქონე ორგანოების უფლებამოსილებაზე, მიღწევებსა და მიმდინარე გამოწვევებზე ისაუბრეს. განიხილეს სამართალდამცავი პირების მიერ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულების გამოძიების სპეციფიკა, გამომძიებლების გადამზადების და მათი შესაძლებლობების გაძლიერების საკითხები. ასევე, საუბარი შეეხო დანაშაულის მსხვერპლთან კომუნიკაციისა და სამართალდამცავ უწყებებთან ეფექტიანი თანამშრომლობის საკითხებს. შეხვედრაზე მხარეები სამომავლო თანამშრომლობაზე და ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე შეთანხმდნენ.

ქ. დუბლინში, გამართულ შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა დამოუკიდებელ ორგანოთა საერთაშორისო ქსელში (IPCAN), საგამოძიებო ორგანოების კოორდინირებულ და მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ თანამშრომლობაზე. სპეციალური საგამოძიებო სამსახური აღნიშული ქსელის წევრი ოფიციალურად 2023 წლის მაისში გახდა.

საერთაშორისო/რეგიონულ ღონისძიებებზე სამსახურის წარმომადგენელთა ინტერვენციების ხელშეწყობა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. სამსახური გააგრძელებს ისეთ საერთაშორისო განხილვებში მონაწილეობას, როგორიცაა გაეროს და ევროკავშირის ადამიანის უფლებათა კომიტეტებში საქართველოს მიერ წარდგენილი ანგარიშების განხილვები.

5.5. ვენეციის კომისიის ვიზიტი

2023 ნოემბერში, ვენეციის კომისიის დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით საქართველოში იმყოფებოდა. საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წარმომადგენლები სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსს შეხვდნენ.

სამსახურის უფროსი ვენეციის კომისიის წარმომადგენლებს სამსახურის მანდატზე, ევროკომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად სამსახურის მიერ გადადგმულ ნაბიჯებსა და უწყების გაძლიერების კუთხით განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე ესაუბრა. შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს ფუნქციური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად სამსახურის ინიციატივით განხორციელებული ცვლილებები, რისი მეშვეობითაც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებს პენიტენციურ დაწესებულებებში დაუბრკოლებლად, წინასწარი ნებართვის გარეშე, შესვლის უფლება მიეცათ. სამსახურს მოწმის და დაზარალებულისთვის დაცვის სპეციალური ღონისძიების დასანიშნად მნიშვნელოვანი როლი მიენიჭა. უწყების თანამშრომელთა უფლებრივი, სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები არსებითად გაუმჯობესდა. გარდა აღნიშნულისა, ასევე, ხაზი გაესვა, ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულების მიზნით, სამსახურის ინიციატივით საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს.

SPECIAL INVEST
INVEST
INVESTIGATION
INVESTIGATIVE
INVESTIGATORS
INVESTIGATORS
INVESTIGATORS

5.6. მედიის საკითხებზე უფლებადამცველებთან თანამშრომლობა

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, მედიის ადვოკატირების კოალიციის წევრი, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტების გამოძიების შესახებ სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა 2022-2023 წლის საქმიანობის შედეგებსა და სტატისტიკურ მონაცემებზე - სამართალდამცველების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტებისა და ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის დანაშაულების გამოძიების სტატისტიკურ მონაცემებსა და ამ მიმართულებით გახსნილი საქმეების მაჩვენებელზე.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა თითოეულ ამ საქმეზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდა მედიის ადვოკატირების კოალიციის წევრებს და პროცესში ჟურნალისტების ჩართულობაზე ისაუბრა.

6. დონორებთან თანამშრომლობა

განვლილი პერიოდის განმავლობაში სამსახური თანამშრომლობდა ისეთ დონორ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორსაც - ევროპის საბჭო, ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო, ეუთო, გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი სამხრეთ კავკასიაში, გაეროს ქალთა ორგანიზაცია და შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო წარმოადგენენ.

საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით განხორციელდა მთელი რიგი პრაქტიკის დამდგენი ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავება, რომელთა შორის აღსანიშნავია:

ევროპის საბჭოს პროექტის „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში“ ფარგლებში შემუშავდა პოლიტიკის განმსაზღვრელი შემდეგი დოკუმენტები:

- გამოკითხვის სახელმძღვანელო - აერთიანებს გამოკითხვის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოსა და პრაქტიკული ასპექტების ანალიზს. ასევე, ინფორმაციას ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო სტანდარტების შესახებ;

- გამოძიების ხარისხის მონიტორინგის ინსტრუქცია - აერთიანებს ინფორმაციას გამოძიების ხარისხის მონიტორინგის, მეთოდებისა და ხერხების შესახებ;

- ხელახალი გამოძიების საკითხებზე რეკომენდაცია - აერთიანებს ინფორმაციას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკისა და ამ მიმართულებით არსებული სტანდარტების შესახებ.

საგამოძიებო მიმართულებით შემუშავებული ინსტრუქციების გარდა, საგულისხმოა, რომ ამავე პროექტის ფარგლებში, შესაბამისი ცოდნის მქონე ექსპერტების ჩართულობით შემუშავდა სამსახურის 6 წლიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. აღნიშნული დოკუმენტები აერთიანებს უწყების საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებსა და დროში გაწერილ კონკრეტულ აქტივობებს.

ევროკავშირის (EU), გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) ერთობლივი ინიციატივის „ადამიანის უფლებები ყველასათვის – ფაზა 2“ ფარგლებში შემუშავებული პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები:

- კვალიფიკაციის გამიჯვნის სახელმძღვანელო - აერთიანებს ინფორმაციასა და ანალიზს იმ გარემოებების შესახებ, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ქმედების, განსაკუთრებით კი არასათანადო მოპყრობის შემთხვევების, სწორი კვალიფიკაციის განსაზღვრის მიზნით;

- ხელბორკილის გამოყენების მიზანშეწონილობისა და წესების შესახებ სახელმძღვანელო - აერთიანებს ინფორმაციას იმ საერთაშორისო სტანდარტების შესახებ, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ ხელბორკილის გამოყენებასთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ აღნიშნული სახელმძღვანელოს საფუძველზე, მომზადდა შესაბამისი რეკომენდაცია, რომლის დამტკიცებაც დაგეგმილია უახლოეს პერიოდში.

გარდა აღნიშნულისა, ევროკავშირის დაფინანსებითა და გაეროს შესყიდვების ოფისთან UNOPS-თან აქტიური თანამშრომლობით, სამსახურის ყველა რეგიონალური ოფისი პასუხობს არასრულწლოვანთა საჭიროებებს. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში მონაწილე მოწმე და მსხვერპლი ბავშვების უფლებებისა და საუკეთესო ინტერესების დასაცავად, ყველა ოფისში მოეწყო ბავშვზე მორგებული გარემო და დამონტაჟდა შესაბამისი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა.

6.1. დონორების საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა

საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან ეფექტიანი კოორდინაციისა და თანამშრომლობის მიზნით, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა **დონორთა საკოორდინაციო მექანიზმი შექმნა და პირველ შეხვედრას 2023 წლის 27 აპრილს უმასპინძლა.** შეხვედრის მიზანს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გაძლიერებისკენ მიმართული მიმდინარე და სამომავლო პროექტების განხილვა და ამ პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების მაქსიმალური კოორდინაციის უზრუნველყოფა წარმოადგენდა. აღინიშნა, რომ კოორდინაციის ეს პლატფორმა სამსახურს მისცემს შესაძლებლობას საჭიროებებზე მორგებული პროექტები დონორი ორგანიზაციების ჩართულობით დაგეგმოს და სამომავლოდ აქტიურად განახორციელოს, რაც გაფართოებული მანდატის ფარგლებში სამსახურის საჭიროებების უზრუნველსაყოფად უმნიშვნელოვანესია. პირველი საკოორდინაციო შეხვედრის ჩატარება შესაძლებელი გახდა ევროკავშირის (EU) და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) ფინანსური ხელშეწყობით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

ევროკავშირის (EU), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) ერთობლივი ინიციატივის „ადამიანის უფლებები ყველასათვის – ფაზა 2“ ფარგლებში, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერითა და **შშმ პირთა უფლებების დაცვის მიზნით**, შემუშავდა **შშმ პირთა უფლებების დაცვის სტრატეგია და 2023 წლის სამოქმედო გეგმა**. სამოქმედო გეგმა, გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, განახლდება ყოველწლიურად და შესრულების თაობაზე მომზადდება ანგარიშები.

კეთილსინდისიერების პოლიტიკის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“[3] (PAR) ფარგლებში შემუშავდა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცდა კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი - სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. სტრატეგია ხელს შეუწყობს იმ პრინციპებისა და ვალდებულებების განხორციელებას (გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, მოქალაქეთა მონაწილეობა და ელექტრონული მმართველობა), რომლებიც საქართველომ ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში აიღო.

3 https://eu4georgia.eu/ka/projects/eu-project-page/?id=332;

დონორების მიერ დაფინანსებული სასწავლო აქტივობები

საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების ჩართულობით საანგარიშო პერიოდში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების კვალიფიკაციის ზრდის მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა 31 სასწავლო აქტივობა, 316 მონაწილისთვის

- დაზიანებათა დოკუმენტირება
- წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა
- მსხვერპლი/მოწმე და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის გამოკითხვის თავისებურებები
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, სექსუალური ძალადობის გამოძიების საკითხები
- შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის საუკეთესო პრაქტიკა
- სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება
- ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები
- კიბერუსაფრთხოება და კიბერდანაშაულის გამოძიება
- კიბერუსაფრთხოება და ელექტრონული მტკიცებულებები
- კეთილსინდისიერების რისკების შეფასება
- მხილება საჯარო სამსახურში
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები

ფინანსური ანგარიშგება

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის დაფინანსება საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 17 000 000 ლარით, ხოლო საკასო ხარჯმა, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგინა 16 567 584.32 ლარი. საანგარიშო პერიოდში დასრულდა ახალი ადმინისტრაციული (სათავო) შენობის დეტალური არქიტექტურული პროექტის მომზადების პროცესი მშენებლობის ნებართვის მოპოვების გათვალისწინებით და დაიწყო სამშენებლო სამუშაოები. ასევე, მომზადდა ქვემო ქართლის რეგიონში დამატებითი ადმინისტრაციული (რეგიონული) შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც სამსახურს ამ შემთხვევაშიც მიღებული აქვს მშენებლობის ნებართვა შესაბამისი მუნიციპალიტეტისგან. გარდა ზემოაღნიშნულისა, განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები.

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საშტატო რიცხოვნობა შენარჩუნებულია 150 ერთეულამდე. ამასთან, სამსახურის დაფინანსება, 2023 წელთან შედარებით, იზრდება 1 მილიონი ლარით და შეადგენს 18 მილიონ ლარს. დაფინანსების ზრდა, მათ შორის, გამოწვეულია ქ. თბილისსა და ქ. რუსთავში ადმინისტრაციული შენობების სამშენებლო სამუშაოების დაფინანსების, ქ. გორში ასაშენებელი ადმინისტრაციული (რეგიონული) შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცის მომზადებისა და სამსახურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნება/გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. დამატებით, ხაზგასასმელია, რომ 2024 წლის ბიუჯეტში კვლავ არის გათვალისწინებული 0.8 მლნ ლარამდე რესურსი ქ. თბილისში არსებული ორი ადმინისტრაციული შენობის იჯარისთვის.

ინფორმაციული და ტექნოლოგიური გაძლიერება

ციფრული კომუნიკაციის ამაღლებისა და რესურსების დაზოგვის მიზნით, ევროკავშირის დაფინანსებითა და გაეროს შესყიდვების ოფისთან UNOPS-თან აქტიური თანამშრომლობით, სპეციალური საგამოძიებო სამსახური თანამედროვე Cisco-ს ფირმის ტელე-საკონფერენციო სისტემით სრულად აღიჭურვა, რამაც შესაძლებელი გახადა ყველა არსებულ ოფისს შორის დისტანციური თათბირების, კონფერენციებისა და ტრენინგების ჩატარება. რეგიონალურ და ცენტრალურ ოფისებში „ტელეპრეზენსის“ სისტემის არსებობა მოქნილსა და უსაფრთხოს ხდის ოფისებს შორის კავშირს. „ტელეპრეზენსის“ სისტემის გამოყენებით ყველა რეგიონულმა სამმართველომ არაერთ სამუშაო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა დისტანციურად.

გამოძიება

9.1. 2023 წლის სტატისტიკური მაჩვენებელი[4]

2023 წლის
საქმიანობის შედეგები

3 057 შეტყობინებაზე მოხდა სამართლებრივი რეაგირება

537 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება

მიღებულ შეტყობინებებზე რეაგირება

დათვლილია სავარაუდო მსხვერპლთა რაოდენობის მიხედვით



2023 წელს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა გამოძიება დაიწყო **537** სისხლის სამართლის საქმეზე. მათგან, იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები **(არასათანადო მოპყრობა),** გამოძიება დაიწყო **257** სისხლის სამართლის საქმეზე. იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი **(სამართალდამცავების მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილი),**

4 იგულისხმება 2023 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

გამოძიება დაიწყო **79** სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი **(პირადი ცხოვრების ხელყოფა, ჟურნალისტის უფლებების დარღვევა და სხვა),** გამოძიება დაიწყო **201** სისხლის სამართლის საქმეზე.

2023 წლის
გამოძიების მაჩვენებელი

გამოძიება დაიწყო 537 სისხლის სამართლის საქმეზე

48% (257) სამართალდამცავის მიერ ჩადენილი შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტები

37% (201) მოქალაქეების მიერ ჩადენილი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

15% (79) სამართალდამცავების მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები

2023 წელს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სულ **93** პირის მიმართ.

დევნის საერთო მაჩვენებელი



93 ბრალდებულიდან, სისხლისსამართლებრივი დევნა **57** შემთხვევაში დაიწყო მოქალაქის მიმართ, ხოლო **36** შემთხვევაში სამართალდამცავის მიმართ.[5]

ბრალდებულთა თანამდებობები გადანაწილებულია შემდეგნაირად:



5 აღნიშნული საჯარო მოხელეებიდან, ერთსა და იმავე პირს ბრალი წარედგინა 2 სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე (იანვარსა და მაისში), შესაბამისად ჩათვლილია 2 მოხელედ.

9.2. არასათანადო მოპყრობა[6]

9.2.1. მიღებული შეტყობინებები

2023 წელს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ სავარაუდო დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, შემოვიდა **2245** შეტყობინება. აქედან **59%** (**1335** შეტყობინება) განიხილა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველომ, **20%** (**459** შეტყობინება) - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველომ, **10%** (**223** შეტყობინება) - დასავლეთის სამმართველომ, **6%** (**127** შეტყობინება) - კახეთის სამმართველომ, ხოლო **5%** (**101** შეტყობინება) - სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველომ.



მიღებულ შეტყობინებებზე განხორციელებული რეაგირება

საგამოძიებო დეპარტამენტში შემოსული **2245** შეტყობინება შეეხებოდა **2384** პირს (რიგ შემთხვევებში, ერთი შეტყობინება მოიცავდა ქმედებას არა ერთი, არამედ რამდენიმე პირის მიმართ).

შემოსული შეტყობინებებიდან სავარაუდო მსხვერპლთა **46%**-ის (**1107** პირი) მიმართ შეტყობინებები არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს, **16%-მა** (**378** პირი) უარყო შეტყობინებაში მითითებული ინფორმაცია, **13%**-ის (**298** პირი) მიმართ შემოსული შეტყობინებები გადაიგზავნა სხვა უწყებაში, ვინაიდან არ განეკუთვნებოდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო კომპეტენციას, **11%**-ის (**265** პირი) მიმართ დაიწყო გამოძიება, **9%**-ის (**211** პირი) შემთხვევაში შეტყობინება წარმოადგენდა დამატებით ინფორმაციას გამოძიებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, ხოლო **5%**-ის (**125** პირი) მიმართ შემოსულ შეტყობინებებზე მიმდინარეობს წარმოება.

6 იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სსკ-ის 144[1]–144[3] მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.

მიღებული შეტყობინებების ავტორები



9.2.2. გამოძიების დაწყება

2023 წელს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები (არასათანადო მოპყრობა), გამოძიება დაიწყო სულ **257 სისხლის სამართლის საქმეზე.**

მიღებულ შეტყობინებებზე რეაგირება



გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



გამოძიების დაწყებისას ქმედებისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია



უწყებები, რომლებზეც მიუთითებენ სავარაუდო მსხვერპლები



შესაძლო დანაშაულის ჩადენის გეოგრაფიული არეალი



9.2.3. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება

2023 წელს, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო **6** პირის მიმართ.

1) კრიმინალური პოლიციის დეტექტივის საქმე (მუხლი 332 III ბ და 147 I ნაწილი)

2023 წლის 2 იანვარს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა დეტექტივმა, მისი ნათესავისთვის საჩუქრის გამგზავნი პირის დადგენის მიზნით, ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება და ქ.ბათუმში წერეთლის ქუჩა №4-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, თითქოსდა პიროვნების იდენტიფიცირების მიზნით, საამისოდ კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე განზრახ უკანონოდ დააკავა და პოლიციის მე-3 განყოფილებაში გადაიყვანა მოქალაქე, რომელსაც იგი თხოვდა ეთქვა, ვისი დავალებით გადასცა საჩუქარი მის ნათესავს, რა დროსაც დეტექტივმა დაზარალებულს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ: ერთხელ დაარტყა ფეხი ბარძაყის არეში, ორჯერ დაარტყა გაშლილი ხელი თავის არეში, რის შედეგადაც დაზარალებულმა მიიღო თავის ტვინის შერყევა და დაუზიანდა მარცხენა ყურის აპკი.

პოლიციის დეტექტივი სასამართლო განჩინების საფუძველზე დაკავებული იქნა 2023 წლის 8 თებერვალს.

ბრალდება წარედგინა სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ძალადობით) და 147-ე მუხლის პირველი ნაწილით (განზრახ უკანონო დაკავება). სისხლის სამართლის საქმე განიხილება სასამართლოში.

2) პატიმარ გ.გ.-ს გარდაცვალება (მუხლი 342)

სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორმა 2023 წლის 1 აგვისტოს, უგულებელყო „პენიტენციურ დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის ორგანიზების ინსტრუქციის” მოთხოვნები და უმეთვალყურეოდ დატოვა დაწესებულების სააბაზანო ოთახში მყოფი პატიმარი, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

2023 წლის 6 ოქტომბერს ინსპექტორ-კონტროლიორს ბრალდება წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მეორე ნაწილით (სამსახურებრივი გულგრილობა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია). თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა.

3) მკვლელობა გოგებაშვილის ქუჩაზე (მუხლი 108)

2023 წლის 4 მაისს, თბილისში, ი. გოგებაშვილის ქუჩაზე, იმყოფებოდნენ გ.მ. და კერძო პირის დაცვის თანამშრომელი - შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის უფროსი ინსპექტორი გ.მ.-ს მიუახლოვდა ს.გ.-ს და ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე ესროლა ფეხების მიმართულებით. მიღებული დაზიანებების შედეგად, გ.მ. ძირს დაეცა. ს.გ. მიუახლოვდა ძირს დაცემულ გ.მ.-ს და კვლავ განახორციელა გასროლა მისი ფეხების მიმართულებით, რის შემდეგაც შეწყვიტა სროლა და სცადა შემთხვევის ადგილის დატოვება. თუმცა, იქ მყოფმა დაცვის პოლიციის ინსპექტორმა, თან ნაქონი „გლოკ 17“-ის მოდელის ცეცხლსასროლი პისტოლეტიდან, რამდენჯერმე ესროლა ს.გ.-ს, რომელიც მიყენებული ჭრილობების შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა.

დაცვის პოლიციის ინსპექტორს ბრალდება წარედგინა სსკ-ის 108-ე მუხლით (მკვლელობა). თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა.

4) ინსპექტორ-კონტროლიორების მხილება (მუხლი 342-2)

2023 წლის 1 ივლისს, N14 პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულმა მიიყენა თვითდაზიანება, რის გამოც იგი გადაიყვანეს ცალკე საკანში, მოთავსდა მარტო და დაუწესდა ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა. პატიმრის მოთხოვნით იგი გამოიყვანეს აბაზანაში, სადაც ინსპექტორ - კონტროლიორების გულგრილობისა და უმეთვალყურეობის შედეგად მან განახორციელა სუიციდი.

2023 წლის 17 აგვისტოს, 2 ინსპექტორ-კონტროლიორს წარედგინათ ბრალდება სსკ-ის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სამსახურებრივი გულგრილობა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია). საქმე არსებითად განსახილველად გადაიგზავნა სასამართლოში.

5) სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ტურისტების მიმართ (333-3-ბ)

2023 წლის 28 მაისს, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მე-4 სამმართველოს მესაზღვრე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში, ვაშლოვანის ნაკრძალში, ტურისტების ბანაკის მიმდებარედ, ქვეითად პატრულირებას ახორციელებდა, რა დროსაც მან დიდი ბრიტანეთისა და ბელორუსის მოქალაქე ტურისტებს, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაადო ხელბორკილი და სამსახურებრივი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან განახორციელა გასროლა, რამაც ფიზიკური პირების უფლების, საზოგადოებისა და სახელმწიფო ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

მესაზღვრე დაკავებულ იქნა და წარედგინა ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით). სასამართლოს განაჩენით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წელი 6 თვე და პირობითი მსჯავრი 3 წელი 6 თვე.

9.2.4. გამოძიების შეწყვეტა

2023 წელს, გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობდა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებიც განსაზღვრულია „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (არასათანადო მოპყრობა), გამოძიება შეწყვიტა **74** სისხლის სამართლის საქმეზე, საიდანაც 9 საქმეზე გამოძიება დაწყებული იყო 2020 წელს, 19 საქმეზე - 2021 წელს, 25 საქმეზე - 2022 წელს, ხოლო 21 საქმეზე - 2023 წელს.

9.2.5. შედარებითი ანალიზი

შედარებითი ანალიზი გაკეთებულია წლების მიხედვით „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით **(არასათანადო მოპყრობის ფაქტები)** ნაწარმოებ სისხლის სამართლის საქმეებზე არსებულ შედეგობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით. შედარებულია 2020 და 2021 წლების, 2022 წლის მარტი-დეკემბრის მონაცემები 2023 წლის მაჩვენებლებთან, შემოსული შეტყობინებების რაოდენობების, გამოძიების დაწყების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასაბუთებული წინადადებების მაჩვენებლების მიხედვით.

შემოსული შეტყობინებების რაოდენობა



გამოძიების დაწყების პროცენტული მაჩვენებელი



სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეებიდან 2020 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ, 2021 წელს - 6 პირის მიმართ, 2022 წლის მარტი-დეკემბრის პერიოდში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 8 პირის მიმართ, ხოლო 2023 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 6 პირის მიმართ.[7]

7 იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სსკ-ის 144[1]–144[3] მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი



9.3. სამართალდამცავების მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები

9.3.1. მიღებული შეტყობინებები

2023 წელს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილ იმ სავარაუდო დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, შემოვიდა **117** შეტყობინება. აღნიშნული შეტყობინებების **62**% (**73** შეტყობინება) განიხილა საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველომ, **14**% (**16** შეტყობინება) - დასავლეთის სამმართველომ, **10**% (**12** შეტყობინება) - კახეთის სამმართველომ, **10**% (**11** შეტყობინება) - აჭარის სამმართველომ, ხოლო **4**% (**5** შეტყობინება) - სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამმართველომ.

შემოსული შეტყობინებების რაოდენობა



9.3.2. გამოძიების დაწყება

2023 წელს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ყოფით ნიადაგზე ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, გამოძიება დაიწყო **79 სისხლის სამართლის საქმეზე.**





შესაძლო დანაშაულის ჩადენის გეოგრაფიული არეალი



9.3.3. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება

2023 წლის განმავლობაში, გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო **33** პირის მიმართ **30** სისხლის სამართლის საქმეზე, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ დანაშაულებზე, რომლებიც განსაზღვრულია „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

9.4. პირადი ცხოვრების ხელყოფა; ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა; დისკრიმინაციული დანაშაულები[8]

9.4.1. მიღებული შეტყობინებები

2023 წელს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში იმ სავარაუდო დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი (სსკ-ის 153–159-ე, 162-ე–163-ე და 164[4] მუხლები), შემოვიდა **459** შეტყობინება.



8 იგულისხმება სსკ-ის 153-159-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.

9.4.2. გამოძიების დაწყება

2023 წელს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა დანაშაულებზე, რომელსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, გამოძიება დაიწყო **201** სისხლის სამართლის საქმეზე,

გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



გამოძიების დაწყებისას ქმედებისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია



9.4.3. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება

2023 წელს, „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (სსკ-ის 153-159-ე მუხლები) გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით, გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო **49** სისხლის სამართლის საქმეზე, **54** პირის მიმართ.

9.5. დასაბუთებული წინადადებები გენერალურ პროკურატურას

2023 წელს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილემ, ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, საქართველოს გენერალურ პროკურატურას **7** დასაბუთებული წინადადებით მიმართა. აქედან:

— **2** შეეხებოდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობას (1 წინადადება არ დაკმაყოფილდა, 1 წინადადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა);

— **5** შეეხებოდა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზანშეწონილობას (3 წინადადება სრულად დაკმაყოფილდა, 2 წინადადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა).

2023 წელს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე, საქართველოს გენერალურ პროკურორს **1** დასაბუთებული წინადადებით მიმართა, რომლითაც, გასაჩივრდა ზედამხედველი პროკურორის უარი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილის მიერ წარდგენილ დასაბუთებულ წინადადებაზე. აღნიშნული წინადადება სრულად დაკმაყოფილდა.

დასაბუთებული წინადადების შინაარსი



დასაბუთებული წინადადებების შინაარსი



დასაბუთებული წინადადებების დაკმაყოფილების მაჩვენებელი



9.6. გამოწვევები აქციის საქმეებთან დაკავშირებით

2019 წლიდან, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში შეიქმნა დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახური, უწყებას (სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, შემდგომში სპეციალური საგამოძიებო სამსახური) საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში აქციის მიმდინარეობის დროს სამართალდამცავთა მხრიდან ძალის შესაძლო გადამეტების არაერთ საქმეზე და ეპიზოდზე მოუწია გამოძიების დაწყება. თითოეული ამ საქმის ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველა შემთხვევაში გამოწვევად რჩება სამართალდამცავების მხრიდან საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტებზე სრულყოფილი გამოძიების ჩატარება და გამოძიებით გამოკვეთილ ინდივიდუალურ ეპიზოდებში კონკრეტული სამართალდამცავების იდენტიფიცირება.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი უფლებას აძლევს პოლიციელს, კანონით გათვალისწინებული იძულების ღონისძიებების გატარებისას, გამოიყენოს ფიზიკური ძალა, რომელიც უნდა იყოს გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. არც კანონში და არც სხვა სამართლებრივ აქტებში არ არის სახელდობრ მითითებული ის კონკრეტული კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავდა გამოყენებული იძულებითი ღონისძიების გამოსადეგობის, აუცილებლობისა და პროპორციულობის ფარგლებს, რაც მისცემდა გამოძიებას სამართალდამცავთა მხრიდან ფიზიკური კონტაქტის/სადავო ქმედების უკეთ შეფასების შესაძლებლობას.

ამ კატეგორიის საქმეების გამოძიებისას შესაძლო მოძალადე პირის იდენტიფიცირების, ძალადობის ფაქტობრივი გარემოებებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების დადგენისას გამოძიება აწყდება სხვა დაბრკოლებებსაც, რაც ართულებს შემაჯამებელი გადაწყვეტილებების მიღებას. კერძოდ:

- შემთხვევის ადგილზე არ არის განთავსებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერები;
- სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერები არ იძებნება ან/და უხარისხოა;
- შემთხვევის ადგილზე არის ვიდეოკამერები, თუმცა მათი განლაგებიდან და რაკურსიდან გამომდინარე, ხედვის არეალში არ ექცევა ინციდენტის ადგილი ან/და ექცევა, თუმცა შორი მანძილის გამო შეუძლებელია განვითარებული მოვლენების მკაფიოდ აღქმა, მონაწილე პირების იდენტიფიცირება და მათი ქმედებების ზუსტი შეფასება;
- შემთხვევის ადგილზე რთული ხილვადობა, ხალხმრავლობა და სხვა;
- საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას, ხალხმრავლობიდან გამომდინარე აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცველებს შორის იმდენად მჭიდროა ფიზიკური კონტაქტი, რომ რთულია გარჩევა და მათი ქმედებების აღქმა/შეფასება. ხილვადობას კიდევ უფრო აუარესებს ღამის საათები ან/და გაზის გაშვების, წყლის ჭავლის გაფრქვევის შედეგად წარმოქმნილი ღრუბელი და სხვა ფაქტორები.

არის შემთხვევები, როდესაც გამოძიებას მოპოვებული აქვს სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერები, სადაც ასახულია სამართალდამცავის მხრიდან აქციის მონაწილის მიმართ ძალადობა, თუმცა სამართალდამცველის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები აღჭურვილნი არიან სპეციალური ფორმებით (ე.წ. „რობოკოპით“/ჩაფხუტით ან/და ნიღბით), რომელზეც არ არის დატანილი მაიდენტიფიცირებელი მონაცემი. შესაბამისად, ძალადობის ფაქტების თვითმხილველი პირების არსებობის შემთხვევაშიც კი თითქმის შეუძლებელია არაპროპორციული ძალის გამომყენებელი სამართალდამცველის იდენტიფიცირება და ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვება.

ასეთ შემთხვევებში, სპეციალური აღჭურვილობის მქონე თანამშრომლის იდენტიფიცირების ერთ-ერთი ფორმა შესაძლოა იყოს საპროტესტო შეკრების ადგილზე მოსვლისა და შემდგომ პერიოდში მისი გადაადგილების/მოქმედებების ამსახველი სრული ეპიზოდის ვიდეოჩანაწერების ანალიზი, თუმცა, როგორც წესი, აქციაზე შეკრებილი ხალხის მასა და გადაადგილება შეუძლებელს ხდის კონკრეტული პირის მოძრაობის სრული სურათის აღდგენას.

„პოლიციის შეიარაღებაში არსებული სპეციალური საშუალებების შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის“ შესახებ 2013 წლის 31 დეკემბრის №1006 და „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ 2015 წლის 30 დეკემბრის №1002 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებები არეგულირებს შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის წესებს, მათ შორის სპეციალური საშუალებების გამოყენების საკითხს. აღნიშნული ბრძანებებით, ჩასაცმელ აღჭურვილობაზე მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დატანა არ არის სავალდებულო.

საპოლიციო ღონისძიებების განხორციელების დროს, მონაწილე პოლიციელის/სპეციალური დანიშნულების რაზმის წარმომადგენლების იდენტიფიცირების საკითხი გამოწვევაა ბევრი ევროპული ქვეყნისთვის, მათ შორის წამყვანი სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნებისთვისაც, სადაც, ასევე, არ არის სავალდებულო საპროტესტო აქციის დაშლის დროს სამართალდამცავები ატარებდნენ მაიდენტიფიცირებელ ნიშნებს.

2023 წლის მაისში, აღნიშნულ გამოწვევებთან დაკავშირებით სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შესაძლებლობა მიეცა მონაწილეობა მიეღო სტრასბურგში გამართულ დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოთა საერთაშორისო ქსელის (IPCAN) კონფერენციაზე, სადაც საქართველოსთან ერთად მონაწილეობდნენ დანიის, ბელგიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ნორვეგიის, შვეიცარიის და ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

ქსელის შეხვედრაზე ევროკავშირის წევრი ქვეყნის წარმომადგენლების მიერ გამოხატული პოზიციებიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ერთადერთი ქვეყანა, სადაც სამართალდამცავების მხრიდან მაიდენტიფიცირებელი ნიშნების ტარება იყო სავალდებულო და არა დისკრეციული უფლებამოსილება, აღმოჩნდა დანია. გერმანიის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ აქციის მართვაში ჩართული სპეციალური ძალები ატარებენ მხოლოდ კონკრეტული დანაყოფის მაიდენტიფიცირებელ ნიშნებს, სადაც არ იკითხება სამართალდამცავის სახელი და გვარი.

კონფერენციის დასასრულს, მიიღეს ერთობლივი დეკლარაცია, რომელსაც ქსელის (IPCAN) 16 წევრი ქვეყნის წარმომადგენელი აწერს ხელს. იგი შეეხება სხვადასხვა ქვეყანაში საპოლიციო ღონისძიებების განხორციელების დროს მოქალაქეთა უფლებების დაცვის, ეფექტური ზედამხედველობის განხორციელებისა და დანაშაულის პრევენციის საკითხებს, ასევე, დემონსტრაციების დროს დეესკალაციისა და მოლაპარაკების მნიშვნელობას.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ საპოლიციო ოპერაციების ჩატარების დროს, მნიშვნელოვანია ქვეყნებმა დახვეწონ დემონსტრაციების მართვაში ჩართული საპოლიციო ძალების მოქმედების მეთოდები.

10. გამოძიების პროცესში გამოვლენილი ტენდენციები, გამოწვევები და რეკომენდაციები

10.1. შემაკავებელ ორდერთან დაკავშირებული გამოწვევები

სამსახურს წარმოებაში აქვს სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან ჩადენილ ოჯახში ძალადობას, აგრეთვე, სხვა სახის ძალადობრივ დანაშაულებს, სადაც იკვეთება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემაკავებელი ორდერის გამოცემის საფუძვლები. ხსენებული კანონი ორდერის გამოცემის უფლებამოსილებას მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს ანიჭებს, ამიტომ, სპეციალური საგამოძიებო სამსახური იმ შემთხვევებზე, სადაც იკვეთება პოლიციელის მიერ ჩადენილი დანაშაულები, შემაკავებელი ორდერის გამოცემის მოთხოვნით მაინც მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ დანაყოფს.

იყო შემთხვევები, როდესაც სამსახურში მიმდინარე გამოძიებისას გამოიკვეთა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიმართ შემაკავებელი ორდერის გამოცემის სამართლებრივი საფუძვლები, თუმცა პოტენციურმა მსხვერპლმა უარი განაცხადა შემაკავებელი ორდერის შედგენის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ დანაყოფში მისვლაზე, იმ მიზეზით, რომ მოძალადე იყო ამავე სამინისტროს თანამშრომელი (მიუხედავად აღნიშნულისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ დანაყოფში მაინც გაიგზავნა მიმართვა ორდერის გამოცემის თაობაზე და დანაყოფის ხელმძღვანელ პირებთან კომუნიკაციის შემდეგ გამოიცა, მსხვერპლისთვის მისაღებ გარემოში).

საგულისხმოა, რომ გამოცემული შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პირობების შესრულების ზედამხედველობა დაევალა იმავე დანაყოფის თანამშრომლებს, სადაც პოტენციური მოძალადე მუშაობდა, რადგან ბრძანების[9] თანახმად, შემაკავებელი ორდერის პირობების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანო მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამავე ბრძანების თანახმად, დამცავი და შემაკავებელი ორდერის ზედამხედველობაზე უფლებამოსილ პირს შეუძლია გაესაუბროს მსხვერპლსა და მოძალადეს, მათ შორის, კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, აგრეთვე, შეხვედრისა და გასაუბრების მიზნით დაიბაროს ისინი პოლიციაში ან/და განახორციელოს წინასწარ შეთანხმებული ან შეუთანხმებელი (დაუგეგმავი) ვიზიტი მათ საცხოვრებელ ადგილზე.

აქედან გამომდინარე, იმისთვის რომ შემაკავებელი ორდერის გამოცემისას შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიმართ არსებობდეს კონტროლის უფრო მყარი და ეფექტიანი მექანიზმი, მსხვერპლს ჰქონდეს ნდობა სამართალდამცავი ორგანოს მიმართ და რისკები მინიმუმადე იქნეს დაყვანილი, აუცილებელია ორდერის გამოცემა მოახდინოს არა იმ სტრუქტურულმა ერთეულმა, სადაც ძალადობაში მხილებული პირი მუშაობს, არამედ ზემდგომმა ან სხვა სტრუქტურულმა დანაყოფმა.

რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია, შევიდეს ცვლილება ,,შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ" შინაგან საქმეთა მინისტრის N81 ბრძანებაში და მათი თანამშრომლების მიმართ შემაკავებელი ორდერი გამოსცეს და შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ზემდგომი ან სხვა სტრუქტურული დანაყოფის წამომადგენელმა.

9 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 11 დეკემბრის N100 ბრძანება.

10.2. გამოწვევები ერთობლივი ოპერაციების ცენტრი 112-დან შემოსულ შეტყობინებებზე

არსებული პრაქტიკის თანახმად, შეტყობინება, რომელსაც მოქალაქე აწვდის ერთობლივი ოპერაციების ცენტრის 112-ის ოპერატორს და შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მხრიდან ძალადობის/არასათანადო მოპყრობის ფაქტს, იგზავნება შსს გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზზე (126), რომელიც იმავე შეტყობინებას პირვანდელი ფორმით აგზავნის სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ცხელ ხაზზე (199).

იმისათვის, რომ მოქალაქის მიერ 112- ზე გაკეთებულ ზარს დროული რეაგირება მოჰყვეს, მნიშვნელოვანია 112-ში მიღებული შეტყობინება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურშიც შემოვიდეს.

გარდა ამისა, ანალიზმა ცხადყო, რომ შეტყობინებები ხშირად ზოგადი ხასიათისაა და არ შეიცავს თანამშრომლის მხრიდან ჩადენილ ქმედებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ინფორმაციას ჩამდენი პირის, ჩადენის დროისა და ადგილის, ძალადობის კონკრეტული ფორმის შესახებ.

2023 წლის განმავლობაში, სამსახურში შემოსული სავარაუდო დანაშაულის შესახებ შეტყობინებების ყველაზე დიდი ნაწილი (67%) სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროდანაა, მათ შორის გენერალური ინსპექციიდან - გადმოიგზავნა შეტყობინების 25%. რომელთა დიდი ნაწილი გენერალურ ინსპექციაში სწორედ ოპერაციების ცენტრ 112-დან არის შესული.

მოქალაქის მიერ 112-ზე გაკეთებულ შეტყობინებას, რომელიც ეხება სამართალდამცავების მხრიდან ჩადენილ სავარაუდო დანაშაულს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მხრიდან რომ მოყვეს ეფექტიანი და დროული რეაგირება, მნიშვნელოვანია უფრო მეტად დაიხვეწოს შეტყობინებების არსებული მექანიზმი და სამართალდამცავების მიმართ არსებულ პრეტენზიებზე, რომლებიც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განსახილველია, 112-ში შესული შეტყობინებები პარალელურად შეიძლება გადმოიგზავნოს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურშიც. წინააღმდეგ შემთხვევაში იარსებებს რისკები შეტყობინებაზე დროული რეაგირების ვერ მოხდენის, რის გამოც შესაძლოა დაგვიანდეს საგამოძიებო ჯგუფის შემთხვევის ადგილზე გასვლა, მტკიცებულებების დროულად მოპოვება და დამაგრება, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუშლის ეფექტიანი გამოძიების წარმოებას.

რეკომენდაცია:

- მიზანშეწონილია, შესაბამისი პირობებისა და რესურსების მოძიების შემდგომ, ერთობლივი ოპერაციების ცენტრი 112-ის ოპერატორები სასწავლო აქტივობის ჩატარების გზით, ეტაპობრივად გადამზადდნენ და მიეწოდოთ დეტალური ინფორმაცია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების შესახებ. გადამზადების შედეგად, 112-ის ოპერატორები შეძლებენ მოქალაქისგან პირველადი შეტყობინების მიღებისას, დაუსვან მათ საბაზისო ხასიათის დამაზუსტებელი შეკითხვები, რაც შემდგომში გამომძიებელს მისცემს საშუალებას უფრო ეფექტიანად დაგეგმოს და მოახდინოს პირველადი რეაგირება.

- მიზანშეწონილია, ოპერატორების გადამზადებისა და შესაბამისი შეტყობინების სისტემის მოწყობის შემდეგ, დაიგეგმოს შემდგომი ნაბიჯები, რათა ერთობლივი ოპერაციების ცენტრ „112“-ში შესული შეტყობინებები, რომლებიც შეეხება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში გადაგზავნის პარალელურად, გამოიგზავნოს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ცხელი ხაზის მეშვეობით, რომელიც გააუმჯობესებს შეტყობინებაზე დროული რეაგირების კომპონენტს.

10.3. დაკავების სტანდარტები და ნეიტრალური მტკიცებულებები

სამსახურის 2023 წლის ანგარიშის სტატისტიკურ ნაწილშიც აღინიშნა, რომ ,,სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა" და ,,ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში, ფიგურირებს სულ 325 სავარაუდო მსხვერპლი. ამ მსხვერპლთაგან ყველაზე მეტი წილი 26% ადმინისტრაციული და 19% სისხლისსამართლებრივი წესით დაკავებული პირია.

შესაბამისად, დღეის მდგომარეობით კვლავაც გამოწვევად რჩება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან დაკავებისა და ეფექტური კონტროლის განხორციელებისას ფიზიკური ძალის არაპროპორციულად და გადამეტებით გამოყენების შემთხვევები. მსხვერპლთა ნაწილი დაკავებისას ძალის გადამეტების შემთხვევებზე, კვლავაც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებზე მიუთითებს.

ამ ტენდენციების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, სამართალდამცავი უწყებების, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან გატარდეს შესაბამისი ზომები დაკავების სტანდარტების გაუმჯობესებისა და მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით. შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ დანაყოფებისთვის, რომლებიც საპროცესო ღონისძიებების განხორციელების დროს სამხრე კამერებს იყენებენ, დაკავების სტანდარტებისა და დაკავებულის მიმართ ეფექტური კონტროლის განმახორციელებელი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად გადადგმული ნაბიჯები, ასევე, უნდა მოიცავდეს ვიდეომონიტორინგის სისტემების ეფექტიანად გამოყენების წესებსა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დახვეწის საკითხებსაც, რათა სამართალდამცავსა და მოქალაქეს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ამსახველი ნეიტრალური და ობიექტური მტკიცებულება უფრო მეტად ხელმისაწვდომი იყოს.

სწორედ ნეიტრალური და ობიექტური მტკიცებულების არსებობის აუცილებლობაზეა საუბარი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 20 დეკემბრის N2/2/1276 გადაწყვეტილებაში, რომლის თანახმადაც არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას, იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების ჩვენებებით და ამავე დროს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტთან მიმართებით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე სამართალდამცავებს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩხრეკის წარმოება ვიდეომონიტორინგის პირობებში უწევთ. სასამართლომ ამ გადაწყვეტილების მიღება სამართალდამცავების მოქმედების ნდობის ამაღლებისა და ადამიანის უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნით ახსნა. კერძოდ, სხვა გარემოებებთან ერთად აღნიშნა, რომ „განუზომლად დიდია პოლიციელის განხორციელებული ქმედებისადმი ნდობის არსებობის მნიშვნელობა მართლმსაჯულების ეფექტურად აღსრულებისათვის. ამავე დროს, ვერც ერთი სახელმწიფო ორგანო, სასამართლოც კი, ვერ მოახერხებს ნდობის მოპოვებას საქმიანობის სათანადოდ განხორციელების გარეშე. როდესაც ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთის მტკიცებულებად გამოყენების საკითხი მხოლოდ და მხოლოდ პოლიციელების ჩვენებებზეა დამოკიდებული, მათი სანდოობის განსაზღვრისათვის არსებითი იქნება ის, თუ რამ გამოიწვია ასეთი ვითარების შექმნა. პოლიციელის კეთილსინდისიერი მოქმედების პრეზუმირება ბევრად უფრო მარტივია იმ შემთხვევაში, როდესაც დასტურდება, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელი (განუზომლად რთული) იყო ჩხრეკის სანდოობასთან დაკავშირებით დამატებითი მტკიცებულების მოპოვება. თუმცა, როდესაც აშკარაა, რომ პოლიციელს შეეძლო მოეპოვებინა ჩხრეკის სანდოობის გამამყარებელი მტკიცებულება და მან ეს არ გააკეთა, მისი ქმედებებისადმი ნდობის ხარისხი მნიშვნელოვნად იკლებს."

შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ჩადენილი ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირებისა და მოქალაქესა და სამართალდამცავებს შორის მომხდარი ინციდენტის ობიექტურად შესაფასებლად, მნიშვნელოვანია, არსებობდეს დაკავების სტანდარტების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლის შესაბამისად გადამზადდებიან დამკავებელი პირები და რომელიც უზრუნველყოფს დაკავების ამსახველი ვიდეოჩანაწერის ეფექტურ ფიქსაციასა და მოპოვების შესაძლებლობას.

სამსახურის მიერ 2023 წელს გამოძიებადაწყებულ საქმეებზე, სადაც სავარაუდო მსხვერპლები მიუთითებდნენ სამართალდამცავთა მიერ განხორციელებულ ძალადობის ფაქტებზე, დანაშაულის ჩადენის ადგილად შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა დასახელდა - 112 (30%) შემთხვევაში, ქუჩა - 118 (32%) შემთხვევაში, ავტომანქანა - 69 (18%) შემთხვევაში და პენიტენციური დაწესებულება - 37 (10%).

დღეის მდგომარეობით, დაკავებული პირების მუდმივი ვიდეომეთვალყურეობა დროებითი მოთავსების იზოლატორში და საჭიროებისამებრ, პატიმრობის დროს სასჯელაღსრულების სისტემის პენიტენციურ დაწესებულებაში ხორციელდება. ამის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში არ არსებობს დაკავების პროცესის ამსახველი ვიდეოჩანაწერი, რაც ბუნებრივია იძლევა საშუალებას, რომ დაკავებულმა პირმა რიგ შემთხვევაში უსაფუძვლოდ ამხილოს სამართალდამცავი, ხოლო თავის მხრივ სამართალდამცავმა ასეთი მონიტორინგის არარსებობის დროს გადაამეტოს უფლებამოსილებას.

ამასთან, ვიდეომონიტორინგი საგამოძიებო ორგანოს, პროკურატურასა და სასამართლოს გაუადვილებს ფაქტის ობიექტურად შეფასებასა და გამოყენებული ძალის პროპორციულობის ან/და უკანონო ზემოქმედების დადგენას.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის მსგავსად, 2023 წელსაც დაბალი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან საპოლიციო დანაყოფების ადმინისტრაციული შენობებიდან ვიდეოჩანაწერების გადმოცემის მაჩვენებელი. ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეებში ვიდეოფიქსაციასთან დაკავშირებით პრობლემები არსებობდა, ასევე, საპატრულო პოლიციის სამხრე კამერებთან მიმართებითაც, რაც საბოლოო ჯამში ართულებს მომხდარი ფაქტის ობიექტურად შეფასებას და პირდაპირ აისახება გამოძიების ეფექტიანობაზე.

არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, ვიდეომონიტორინგის ტენდენციის გაგრძელება, აღნიშნული პროცესის მართვის დახვეწა და ვიდეოფიქსაციის შემთხვევების გაზრდა მოიტანს ადამიანის უფლებათა დაცვის მეტ გარანტიებს, სამართალდამცავთა მიმართ ძალადობრივი ქმედებების შესახებ მოქალაქეთა განცხადებებისა და თავად სამართალდამცავთა მხრიდან გადაცდომების/არასათანადო მოპყრობის შემთხვევების კლებას და გაზრდის გამოძიების ეფექტიანობას.

რეკომენდაცია:

- საპატრულო პოლიციის წარმომადგენლების მიერ უნდა გაიზარდოს სამხრე კამერების გამოყენების შემთხვევები, რათა მოქალაქის პრეტენზია/საჩივრებთან დაკავშირებით არსებობდეს ობიექტური ნეიტრალური მტკიცებულებები;

- მიზანშეწონილია, გაიზარდოს სამართალდამცავი ორგანოების ადმინისტრაციულ შენობებში ვიდეოფიქსაციის შემთხვევები და გამოძიებისთვის ვიდეოკამერის ჩანაწერების გადმოცემის რაოდენობა, რათა მოქალაქის პრეტენზია/საჩივრებთან დაკავშირებით გამოძიებას ქონდეს ობიექტური გადაწყვეტილების მიღების საშუალება;

- მიზანშეწონილია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, როგორც სისხლის სამართლის, ასევე, ადმინისტრაციული წესით პირის დაკავებისთვის, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, შეიმუშავოს დაკავების სახელმძღვანელო დოკუმენტი/სასწავლო მოდული იმ დანაყოფებისთვის, რომლებიც საპროცესო ღონისძიებების განხორციელების დროს იყენებენ სამხრე კამერებს. მიზანშეწონილია, ასევე, დოკუმენტი მოიცავდეს

ვიდეომონიტორინგის სისტემების ეფექტიანად გამოყენების წესებსა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დახვეწის საკითხებს.

- მიზანშეწონილია, შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტის/სასწავლო მოდულისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეტაპობრივად და კასკადურად დაიწყოს იმ თანამშრომელთა გადამზადება, ვისაც უშუალოდ უწევთ პირის დაკავება ან/და გადაყვანა;

- მიზანშეწონილია, დაკავების სტანდარტების სახელმძღვანელო დოკუმენტის/სასწავლო მოდულის შემუშავებასთან და თანამშრომელთა გადამზადებასთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლების მხრიდან სამხრე კამერების ეფექტური გამოყენებით, გაიზარდოს ნეიტრალური მტკიცებულების (ვიდეოჩანაწერის) მოპოვების შემთხვევები;

- მიზანშეწონილია გაიზარდოს პროცესის ვიდეოფიქსაციის შემთხვევები, უფრო მეტი გამჭირვალობისა და საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად.

10.4. სამეთვალყურეო და სამხრე კამერების ვიდეო ჩანაწერების დროული გადმოცემის უზრუნველყოფა

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა სავარაუდო დანაშაულის ადგილზე განთავსებული ვიდეო სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ვიდეო ჩანაწერების დროული მოპოვება, განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება სსიპ-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ისა და პატრულ-ინსპექტორების სამხრე კამერებზე ჩაწერილ ვიდეო მასალას.

ვინაიდან სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეთა უმეტესი ნაწილი შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებს, ყველაზე მეტი სასამართლოს განჩინება ვიდეოჩანაწერების გამოთხოვასთან დაკავშირებით იგზავნება სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ - „112“-ში.

საგამოძიებო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ განჩინების გადაგზავნის შემდეგ „112'' დაგვიანებით აწვდის სამსახურს ვიდეო ჩანაწერებს. შესაბამისად, ისეთი ახალი მტკიცებულებების მოპოვება, რომელთა საჭიროება ჩნდება „112''-დან გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერების დათვალიერებისა და ანალიზის შედეგად, ხშირად დაგვიანებული ან/და შეუძლებელია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში იგზავნება წერილები, რომელთა უმრავლესობა შეეხება დამკავებელ, თანმხლებ სამართალდამცველთა და შემთხვევის ადგილზე მყოფ სხვა პირთა ვინაობას, პირის დაკავების კონკრეტული ადგილის იდენტიფიცირებას, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელთა სამხრე კამერების საიდენტიფიკაციო ნომრების დადგენას, ბორტის ჩანაწერების არსებობას და ა.შ. იმ პირობებში, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროში საპატრულო პოლიციის სამხრე კამერების ჩანაწერის შენახვის ვადად განსაზღვრულია 30 დღე, ხოლო პოლიციის ადმინისტრაციულ შენობებში კამერების ჩანაწერები ხელმისაწვდომია მხოლოდ 14 დღის განმავლობაში, მოთხოვნილი ინფორმაციის შემჭიდროებულ ვადებში მოუწოდებლობისას, გამოძიება ვეღარ ახერხებს ვიდეოჩანაწერების მოპოვებას, რადგან შენახვის ვადის გასვლის შემდგომ ისინი ავტომატურად იშლება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მხოლოდ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტიდან წერილზე პასუხის (რომელშიც მითითებულია პატრულ-ინსპექტორის სარგებლობაში არსებული სამხრე ვიდეოკამერის იდენტიფიკატორი ე.წ. „სტიკერის'' ნომერი) მიღების შემდგომ არის შესაძლებელი სასამართლოსთვის ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობით მიმართვისთვის საკმარისი მტკიცებულებების შეგროვება.

შესაბამისად, საგამოძიებო პრაქტიკის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ შინაგან საქმეთა

სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფებში გაგზავნილ წერილებზე, პასუხები იგზავნება დაგვიანებით ან/და არასრულად. განსაკუთრებით აქტუალურია ხსენებული საკითხი, როდესაც სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში შეტყობინება იგზავნება დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე დღის/კვირის გასვლის შემდეგ.

რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან თანამშრომლობით (ცალკეულ სამოხელეო დანაშაულის პრევენციის საბჭოს ფორმატში), შეიმუშაოს სახელმძღვანელო მითითება/რეკომენდაცია, რომლის მეშვეობითაც სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეებზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ვიდეო ჩანაწერების გადმოცემა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოწოდება მოხდება შემჭიდროებულ ვადებში.

10.5. ხელბორკილის გამოყენებასთან დაკავშირებული გამოწვევები

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეებზე სავარაუდო მსხვერპლები პოლიციელთა მხრიდან ძალადობის ფაქტებზე პრეტენზიის დაფიქსირებისას, მათზე განხორციელებული ძალადობის ფორმად მთელ რიგ შემთხვევებში უთითებენ ხელბორკილის მიზანმიმართულად ძლიერად მოჭერის შემთხვევებზე. უფრო კონკრეტულად კი, იმ საქმეებიდან, რომლებზეც 2023 წლის განმავლობაში დაიწყო გამოძიება, ხელბორკილების ძლიერად მოჭერის შესახებ 31-მა სავარაუდო მსხვერპლმა მიუთითა 27 საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პოლიციელს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად შეუძლია გამოიყენოს ხელბორკილი:

- დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის მიმართ, რომელიც უძალიანდება ან შეიძლება გაუძალიანდეს;
- გაქცევას ცდილობს;
- დაკავებულის ან დაპატიმრებულის ბადრაგირებისას;
- თუ პირს თავისი საშიში მოქმედებით შეუძლია ზიანი მიაყენოს საკუთარ თავსა და სხვას.

იმ პირობებში, როდესაც ხელბორკილის გამოსაყენებლად პოლიციელს გააჩნია სამართლებრივი საფუძველი, ხელბორკილის არასათანადოდ გამოყენება - მოჭერა, რა თქმა უნდა, ცალსახად არ შეიძლება შეფასდეს, როგორც სამართალდამცავის მხრიდან მოტივირებული და მიზანმიმართული ძალადობრივი ქმედება. დაკავების გარემოებებისა და ზოგადად დაკავების ღონისძიების პროცესის სირთულის გათვალისწინებით, მათ შორის გადაუდებელი აუცილებლებლობისას, ქუჩაში, ხალმხრავალ ადგილებში, დაკავებულის მხრიდან ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევისას, დაკავებული პირის გაქცევის თავიდან ასაცილებლად შესაძლოა სამართალდამცავის მიერ ხელბორკილის დადებისას პროპორციული მოჭერის ზომა სათანადოდ ვერ შეირჩეს და დაკავებულმა ეს მიზანმიმართულ ქმედებად ჩათვალოს. ასევე, ხელბორკილის დადების ადგილზე ფიზიკური დაზიანების კვალი არა მხოლოდ მისი ძლიერად მოჭერის შედეგად, არამედ ზომიერად მისი მორგების დროსაც შეიძლება დარჩეს, თუკი დაკავებული განაგრძობს წინააღმდეგობის გაწევას. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ხელბორკილის დადების ფორმა და ძლიერად მოჭერა რიგ შემთხვევებში შეიძლება ემსახურებოდეს დაკავებული პირისათვის ტკივილის მიყენებას ან მისი გამოყენება ხდებოდეს არასათანადო ფორმითა და არაპროპორციული ზომით - მოჭერით, მაგალითად პირის დასჯის ან/და საკუთარი უპირატესობის დემონსტრირების მოტივით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში შეინიშნება ხელბორკილის მიზანმიმართულად ძლიერად მოჭერაზე სავარაუდო მსხვერპლთა საჩივრების კლების ტენდენცია. თუკი 2021 წელს, სისხლის სამართლის საქმეებში ხელბორკილის ძლიერად მოჭერის თაობაზე 59 დაკავებული

პირი აფიქსირებდა პრეტენზიას, 2022 წელს 36 პირი, 2023 წელს ანალოგიური საჩივრით 31 პირმა მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, რაც ნიშნავს, რომ დაკავებული პირების ამ ტიპის პრეტენზიამ 2021 წელთან მიმართებით, 2022 წელს 39%- ით, ხოლო 2023-ში 47%-ით იკლო.

რეკომენდაცია:

- მიზანშეწონილია, ყველა სამართალდამცავმა ორგანომ ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების თაობაზე შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს სასწავლო მოდული, რომელიც დაარეგულირებს როგორც სისხლის, ისე ადმინისტრაციული წესით დაკავების პირობებში ხელბორკილის გამოყენების სტანდარტებს;

- მიზანშეწონილია, ყველა სამართალდამცავმა ორგანომ, პირველ რიგში შინაგან საქმეთა სამინისტრომ სასწავლო მოდულისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ეტაპობრივად და კასკადურად, თუნდაც უახლოეს 2-3 წელიწადში გადაამზადოს ის თანამშრომლები, რომელთაც უშუალოდ უწევთ პირის დაკავება ან/და გადაყვანა. აღნიშნულის შედეგად სამართალდამცავი ორგანოები თავად შეძლებენ ძალის გადამეტების მიზანმიმართული ფაქტების თავიდან აცილებასა და ამ შემთხვევათა ეფექტიან მართვას.

10.6. პენიტენციურ დაწესებულებებში მეთვალყურეობის განხორციელების, სამეთვალყურეო კამერების შენახვის ვადებსა და სამხრე კამერებთან დაკავშირებული გამოწვევები

კვლავ გამოწვევად რჩება სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში დამონტაჟებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერების შენახვის საკითხი, რომელსაც არეგულირებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანება „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე“.

ჯერ კიდევ 2019-2020 წლებში, ჩანაწერების მცირე დროით შენახვა, გამოძიებისთვის შემაფერხებელი იყო რამდენიმე პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც არსებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერები ინახებოდა არაუმეტეს 6 დღე-ღამისა. იმის გათვალისწინებით, რომ ხშირ შემთხვევებში პატიმრების მომართვა შესაძლო არასათანადო მოპყრობის თაობაზე აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ ხდებოდა, კამერების ჩანაწერების არარსებობა ხელს უშლიდა ფაქტობრივი გარემოებებისა და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

2020 წლის 1 სექტემბერს №35 ბრძანებაში შევიდა ცვლილება და პენიტენციურ დაწესებულებებში სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერების შენახვის ვადად განისაზღვრა არანაკლებ 30 დღე, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მსგავსი შინაარსის მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობისა და გამოძიების ეფექტიანობის ზრდას.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, კვლავ ცვლილება შევიდა №35 ბრძანებაში და პენიტენციურ დაწესებულებებში დამონტაჟებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერების შენახვის ვადა შემცირდა და განისაზღვრა არანაკლებ 10 დღე. აღნიშნული ცვლილება შეეხო ყველა პენიტენციურ დაწესებულებას.

პენიტენციურ დაწესებულებებში დამონტაჟებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერების შენახვის ვადის შემცირება გამოიწვევს მნიშვნელოვან სირთულეებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ობიექტური და ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების თვალსაზრისით.

ხშირ შემთხვევებში პატიმრები შეტყობინების გაკეთების დაგვიანების მიზეზად დეესკალაციის ოთახში ხანგრძლივ განთავსებასა და შეტყობინების/განცხადების დროულად გაკეთების შესაძლებლობის არ ქონას უთითებენ.

არის შემთხვევები, როდესაც პატიმარი საჭიროებს რამდენიმე დღეს, იურიდიული კონსულტაციის მისაღებად ან/და რამდენიმე დღის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით უარს აცხადებს ინფორმაციის მოწოდებაზე.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანებით, ვიდეომონიტორინგზე პასუხისმგებელი დანაყოფის თანამშრომელი (ინსპექტორი) ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს უფლებამოსილ პირს, თუ სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართული პირი 5 წუთის განმავლობაში არ გამოჩნდება ხედვის არეში. გარდა აღნიშნულისა, ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით აღჭურვილ საკნებში, შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით შეიძლება განთავსდნენ ისეთი პატიმრებიც, რომლებიც მართალია არ არიან ჩართულნი სუიციდის პრევენციის პროგრამაში, თუმცა მომეტებული რისკისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას. თანამდებობრივი ინსტრუქციით, თანამშრომელი (ინსპექტორი) ვალდებულია განახორციელოს, მათ შორის, ამ კატეგორიის პატიმართა მუდმივი მონიტორინგი კამერების მეშვეობითა და ვიდეომეთვალყურეობის გზით.

მიუხედავად ამისა, სამართლებრივ აქტებში არ არის მოხსენიებული, მსგავსი კატეგორიის პატიმართა მხრიდან განხორციელებული კონკრეტულად რა სახის ქმედების ან/და კამერის ხედვის არეალიდან მათი რა პერიოდით გასვლის შემთხვევაში აქვს თანამშრომელს შეტყობინების ვალდებულება.

დოკუმენტალურად არ არის დარეგულირებული, ვალდებულია თუ არა დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის თანამშრომელი შეასრულოს ვიდეო მონიტორინგის განმხორციელებელი პირის მოთხოვნა პატიმრის შემოწმების თაობაზე. ასევე, არაა დარეგულირებული რამდენ ხანში და უშუალოდ როგორ (მაგალითად, საკანში შეხედვით თუ გარედან დაძახებით) უნდა განახორციელონ მოთხოვნის შესრულება, მოთხოვნის შესრულების თაობაზე უნდა დაუკავშირდნენ თუ არა ვიდეო მონიტორინგის განმხორციელებელ პირებს და შეატყობინონ თუ არა აღნიშნულის შედეგები. დოკუმენტაციით, ასევე, არ რეგულირდება ვიდეო მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა გადაამოწმოს თუ არა სამართლებრივი რეჟიმის თანამშრომლის მიერ მისი მოთხოვნის შესრულება.

დოკუმენტალურად არაა მკაფიოდ განსაზღვრული, თუ რა უნდა მოიმოქმედოს ვიდეო მონიტორინგის განმხორციელებელმა პირმა, როდესაც აღმოაჩენს, რომ პატიმარი გარკვეული პერიოდის განმავლობაში გასულია ვიდეო კამერის ხედვის არეალიდან. მინისტრის ბრძანებით დადგენილია, რომ ვიდეო მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ხელმძღვანელ პირს უნდა დაუკავშირდეს, რაც არაა პრაქტიკული. პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ ვიდეო მონიტორინგის განმხორციელებელი პირები უკავშირდებიან უშუალოდ ფლიგელზე მყოფ თანამშრომლებს.

არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი და ეფექტური მიდგომების ჩამოსაყალიბებლად, იმისთვის რათა პატიმრების მიერ შემოტანილ საჩივრებთან დაკავშირებით გამოძიებას ჰქონდეს ნეიტრალური მტკიცებულებები ვიდეო ჩანაწერების სახით, ხოლო მეორე მხრივ, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში დაცული იყოს პატიმრების უფლებები, აუცილებელია ვიდეო კამერის ჩანაწერების შენახვის ვადა გაიზარდოს.

ამასთან, როდესაც პენიტენციური დეპარტამენტის წარმომადგენლები აღჭურვილნი იქნებიან სამხრე კამერებით, მათ შორის პატიმართა ესკორტირებისას, მონიტორინგის აღნიშნული უწყვეტი და ერთიანი ჯაჭვი ერთის მხრივ შეამცირებს უსაფუძვლო პრეტენზია/საჩივრების რაოდენობას, მეორე მხრივ გაზრდის როგორც საჩივრებთან დაკავშირებით წარმოებული გამოძიებისას ობიექტური და ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას, ასევე, პატიმართა/მსჯავრდებულთა უსაფრთხოებას.

რეკომენდაცია:

— მიზანშეწონილია, გადაისინჯოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანება და პენიტენციურ დაწესებულებებში

დამონტაჟებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერების შენახვის ვადა კვლავ გაიზარდოს არანაკლებ 30 დღემდე.

- მიზანშეწონილია, პატიმართა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, ასეთი კატეგორიის პატიმრებთან მიმართებით მკაფიოდ განისაზღვროს სპეციალური დანაყოფის თანამშრომლის (ინსპექტორის) მოვალეობები.

- მიზანშეწონილია, პენიტენციურ დაწესებულებაში ან/და ესკორტირებისას მომხდარი ინციდენტის ობიექტურად შესაფასებლად, უწყებამ ეტაპობრივად დანერგოს სამხრე კამერების გამოყენების მექანიზმი, რათა განხორციელდეს პატიმართა/თავისუფლება აღკვეთილ პირთან ნებისმიერი კომუნიკაციის აუდიო-ვიდეო ფიქსაცია. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება, ერთმნიშვნელოვნად აამაღლებს პენიტენციური დეპარტამენტის თანამშრომლების ქმედებების მიმართ ნდობას, ასევე, აღნიშნული სიახლე იქნება პატიმართა/თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დაცვის დამატებითი გარანტია.

10.7. სამედიცინო ცენტრ „ვივამედში“ გადაყვანილი პატიმრების ვიდეო მეთვალყურეობის საკითხი

სამსახურის წარმოებაში არსებულ რამდენიმე საქმეში, პატიმრებმა მიუთითეს, კლინიკაში, მათი ყოფნის პერიოდში, სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, რომლებზეც სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მიმდინარეობს 2 გამოძიება.

გამოძიების ფარგლებში დადგინდა, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებს, საჭიროების შემთხვევაში, მსჯავრდებული/ბრალდებულები, მათი სტაციონარული მკურნალობისა და ამბულატორიული მომსახურების/მკურნალობის ჩატარების მიზნით, გადაჰყავთ სამოქალაქო სექტორის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში, რომლებთანაც (უმეტესწილად) პენიტენციურ სამსახურს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. ერთ-ერთი და ყველაზე ხშირად გამოყენებადი სამედიცინო დაწესებულებაა სამედიცინო ცენტრი შპს „ვივამედი“, რომელშიც სტაციონარული მკურნალობის საჭიროების მქონე პირები (მსჯავრდებული/ბრალდებული), თავსდებიან მათთვის სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში, ფანჯრებზე დამონტაჟებული რკინის გისოსებიან პალატებში.

აღსანიშნავია, რომ კლინიკაში არც იმ პალატებში, რომლებშიც განთავსებულნი არიან ბრალდებულები/მსჯავრდებულები და არც მიმდებარე დერეფნებში არ არის სამეთვალყურეო ვიდეოკამერები, ხოლო ვიდეოჩანაწერის არარსებობის პირობებში, გამოძიების სრულყოფილად ჩატარება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება.

სამეთვალყურეო ვიდეოკამერების განთავსება მნიშვნელოვანია ხსენებულ კლინიკაში გადაყვანილი პატიმრების გარდაცვალების სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისთვისაც, ობიექტური მტკიცებულებების მოპოვებისა და საგამოძიებო ღონისძიებების ჩასატარებლად. საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც საქმე ეხება ისეთ პატიმრებს, რომლებიც პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნისას, დირექტორის ბრძანების თანახმად, ექვემდებარებიან 24-საათიან ვიდეომონიტორინგს.

რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია, სამედიცინო ცენტრ შპს „ვივამედის“ შენობაში პატიმართა განთავსების ყველა პალატა და მიმდებარე დერეფნები აღიჭურვოს ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით.

10.8. გადაუდებელი აუცილებლობისას ბრალდებულის/ მსჯავრდებულის გადაყვანის პრობლემა სამოქალაქო კლინიკაში

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პენიტენციური დაწესებულებებიდან სამოქალაქო კლინიკაში გაყვანა რეგულირებულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანებით „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წესის დამტკიცების შესახებ“ და 2014 წლის 10 აპრილის №55 ბრძანებით „სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ“.

პაციენტის დაწესებულებიდან კლინიკაში გადაუდებელ გადაყვანას, არეგულირებს, №149 ბრძანების მე-8 მუხლის 12-ე ნაწილი, რომლის თანახმადაც, ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაწესებულებიდან გადაუდებელი გაყვანა/გადაყვანისას, დაწესებულების მთავარი ექიმი ან მისი არყოფნის შემთხვევაში ექიმი, ტელეფონით უკავშირდება სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს ან სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის სპეციალიზებული სამედიცინო სერვისების სამმართველოს უფროსს ან სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის პირველადი ჯანდაცვისა და ამბულატორიული სერვისების სამმართველოს უფროსს და მოახსენებს ინფორმაციას ბრალდებულის/მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ან სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის სპეციალიზებული სამედიცინო სერვისების სამმართველოს უფროსი ან სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის პირველადი ჯანდაცვისა და ამბულატორიული სერვისების სამმართველოს უფროსი, ბრალდებულის/ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, აფასებს გაყვანა/ გადაყვანის საჭიროების საკითხს და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაყვანა/გადაყვანისთვის მოიძიებს შესაბამის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოს, ტელეფონით უკავშირდება და შესაბამისი რეკომენდაციით მიმართავს განყოფილებას.

ამავე ბრძანების 66-ე მუხლის შესაბამისად, „გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანის დაყოვნებამ შესაძლებელია, გამოიწვიოს მძიმე შედეგი, რაც დადასტურებული იქნება ექიმის რეკომენდაციით, ესკორტირებას ახორციელებს შესაბამისი დაწესებულების უსაფრთხოების ან/და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებების თანამშრომლებისაგან დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ჯგუფი ექიმის თანხლებით. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ საგუშაგო ფუნქციების და ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადაბარებას მოახდენს ესკორტირების ჯგუფი“.

შესაბამისად, სამართლებრივ აქტში რეგულირებული არის სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების ქცევის წესის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბრალდებულის/ მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანის დაყოვნებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მძიმე შედეგი. მოცემულ შემთხვევაში მძიმე შედეგი არ არის განმარტებული, თუმცა ეს არის ექიმის მიერ შესაფასებელი და ივარაუდება შემთხვევები, როდესაც საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. 66-ე მუხლის ჩანაწერი ცალსახად მიუთითებს ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის პრიორიტეტულობაზე, რის გამოც უშვებს ქცევის განსხვავებულ წესს, ვიდრე მე-8 მუხლის მე-12-ე ნაწილშია გათვალისწინებული.

ამ თვალსაზრისით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ორ სხვადასხვა საქმეზე ჩატარებული გამოძიებისას გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

ერთ-ერთ საქმეზე, ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტში მდებარე პენიტენციურ

დაწესებულებაში მსჯავრდებული გახდა შეუძლოდ და სიმპტომებიდან გამომდინარე დაესვა დიაგნოზი - მოსალოდნელი მიოკარდიუმის ინფარქტი. ამასთან, ექიმისთვის ცნობილი იყო ის ფაქტი, რომ პაციენტს 7 წლის წინ გაკეთებული ჰქონდა კორონარული შუნტირება და შესაძლებელია განვითარებოდა განმეორებითი მიოკარდიუმის ინფარქტი. მიუხედავად იმისა, რომ პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, ნაცვლად იმისა, რომ დაწესებულების თანამშრომლებისგან შემდგარ ჯგუფს განეხორციელებინა დაუყოვნებლივი გადაყვანა კლინიკაში, მოხდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფისა და საბადრაგო ჯგუფის გამოძახება, რომელთა გამოძახება და ადგილზე გამოცხადება დაკავშირებული იყო გარკვეულ დროსთან, რომელიც პაციენტისთვის იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. უფრო მეტიც, პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიის დატოვებისთანავე, პაციენტის მდგომარეობა დამძიმდა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფის ექიმებმა დაიწყეს პაციენტისთვის რეანიმაციული ღონისძიებების ჩატარება, იმავდროულად საბადრაგო ჯგუფის წევრებს მიუთითეს უახლოეს სამოქალაქო კლინიკაში პაციენტის სასწრაფო წესით რეფერალის თაობაზე, თუმცა, საბადრაგო ჯგუფის წევრებმა განუმარტეს, რომ ბრძანებით განსაზღვრული იყო თბილისში მდებარე სამოქალაქო კლინიკა (რომელთანაც სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება) და უარი განაცხადეს პაციენტის უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანაზე. შესაბამისად, გაგრძელდა პაციენტის გადაყვანა უკვე განსაზღვრულ კლინიკაში, თუმცა, კლინიკაში მიყვანამდე პაციენტი გარდაიცვალა.

მეორე სისხლის სამართლის საქმეზე, ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტში მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმარი გახდა შეუძლოდ და მას აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება, შემდგომ კი გამოიძახეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური. სასწრაფო სამედიცინო ბრიგადამ პირველადი დახმარების აღმოჩენის შემდგომ მიიღო გადაწყვეტილება, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე პატიმარი გადაეყვანათ სამოქალაქო სექტორის კლინიკაში, რომელთანაც სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება. მიუხედავად იმისა, რომ პაციენტის მდგომარეობა იყო კრიტიკულად მძიმე, ესკორტირების ჯგუფის მოსვლამდე მისი გადაყვანა ვერ მოხერხდა დაახლოებით 25 წუთის განმავლობაში. შემდგომ იგი მოათავსეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ავტომანქანაში და გაემართნენ თბილისში მდებარე სამედიცინო კლინიკის მიმართულებით, თუმცა, გზაში ყოფნისას, პატიმარმა დაკარგა გონება და გარდაიცვალა.

როგორც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეების ანალიზით ირკვევა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პატიმრების გარდაცვალების შემთხვევებიდან, არცერთ შემთხვევაში არ განხორციელებულა პაციენტი ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადაყვანა №149 ბრძანების 66-ე მუხლის შესაბამისად, პენიტენციურ დაწესებულებაში დაუყოვნებლივ შექმნილი საბადრაგო ჯგუფის მიერ.

ასევე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს, მათი წარდგენის გზით სამედიცინო მომსახურებას უწევს კონკრეტული სამოქალაქო კლინიკები, აღნიშნულ კლინიკებსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული კლინიკების რიცხვი არ არის მრავალრიცხოვანი (31 კლინიკა მთელი ქვეყნის მასშტაბით) და ზოგიერთ შემთხვევაში პენიტენციური დაწესებულებიდან საკმაო მანძილითაა დაშორებული.

რეკომენდაცია:

— მიზანშეწონილია გადაუდებელი აუცილებლობის დროს მოხდეს პაციენტის გადაყვანა უახლოეს სამოქალაქო კლინიკაში, რაც მკვეთრად შეამცირებს პაციენტის სიცოცხლის მოსპობის ან ამგვარი საფრთხის შექმნის რისკებს. შესაბამისად, „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით, სასურველია, მკაფიოდ განისაზღვროს, რომ პატიმრის გადაუდებელი მკურნალობის საჭიროებისას, პრიორიტეტულად მოძიებული უნდა იქნეს უახლოესი სამოქალაქო კლინიკები, რომლებსაც აქვს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გაწევის რესურსი (მიუხედავად იმისა, გაფორმებულია თუ არა სპეციალურ

პენიტენციურ სამსახურსა და კლინიკას შორის შესაბამისი ხელშეკრულება), რათა პაციენტს დროულად გაუწიონ სათანადო მკურნალობა. ამასთან, სასურველია, თუკი სპეციალური პენიტენციური სამსახური განიხილავს პენიტენციური დაწესებულებების სიახლოვეს განთავსებულ სამედიცინო კლინიკებთან (განსაკუთრებით ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტში - რუსთავში და გარდაბანში, სადაც ჯამში მდებარეობს 5 პენიტენციური დაწესებულება) მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების საკითხს, რათა პატიმრის გადაყვანის შემთხვევაში, წინასწარი დაგეგმვის გზით, უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხოებისთვის საჭირო პირობები და სათანადო ინფრასტრუქტურა (მათ შორის საგუშაგოების მოწყობის მიზნით);

- პრაქტიკაში ქმედითად გამოიყენებოდეს №149 ბრძანების 66-ე მუხლის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, როდესაც პატიმრის სიცოცხლეს ემუქრება რეალური საფრთხე და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის და ესკორტირების ჯგუფის დალოდებამ შესაძლოა გამოიწვიოს მძიმე შედეგი, პენიტენციური დაწესებულების ექიმის რეკომენდაციით, პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა უნდა უზრუნველყოს დაწესებულების შესაბამისი თანამშრომლებისგან საბადრაგო ჯგუფის შექმნა და პატიმრის დროულად გადაყვანა უახლოეს სამედიცინო კლინიკაში. აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანად ფუნქციონირების მიზნით, სასურველია, თუკი პენიტენციურ დაწესებულებებში მუდმივად მობილიზებული იქნება შესაბამისი საკადრო რესურსი, შიდა საბადრაგო ჯგუფის დასაკომპლექტებლად.

10.9. სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პატიმრების სამოქალაქო კლინიკებში დაგვიანებული რეფერალის გამოწვევები

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფ პირთა გარდაცვალებასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიების პროცესში გამოიკვეთა არაერთი გამოწვევა. რიგ შემთხვევებში პრობლემები დაკავშირებულია არასრულ და არაზუსტ სამართლებრივ ნორმებთან, ხოლო რიგ შემთხვევაში სახეზეა ადამიანური რესურსის ნაკლებობა. საკითხი ეხება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამედიცინო დაწესებულებაში გაყვანასა და დაკავშირებულ პროცედურებს.

სამსახურის მიერ წარმოებული გამოძიებით დადგინდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ერთ-ერთ მსჯავრდებულს, აპრილში ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევებით დაესვა დიაგნოზი, რომელიც საჭიროებდა ოპერაციულ მკურნალობას დაჩქარებული წესით. პაციენტის გაყვანის/რეფერალის საკითხი ელექტრონულ პროგრამაში დადგენილი წესით დაარეგისტრირა მთავარმა ექიმმა, ხოლო კომისიის მიერ დადებითად გადაწყდა პაციენტის სამედიცინო მომსახურების გაწევა გეგმიური დაჩქარებული წესით, რაც სავალდებულო წესით უნდა მომხდარიყო რეგისტრაციიდან 1-4 თვის ვადაში, თუმცა პაციენტის გაყვანა კანონით განსაზღვრულ ვადაში არ მოხდა, მდგომარეობა დამძიმდა და ოპერაციული ჩარევა განისაზღვრა სასწრაფო დაყოვნებული წესით. მთავარმა ექიმმა აღნიშნული კვლავ დააფიქსირა ელექტრონულ პროგრამაში, თუმცა ვინაიდან პირადად არ მოახდინა ცვლილებაზე ინფორმირება, სამმართველოს მიერ ვერ ინახა მდგომარეობის ცვლილების/დამძიმების დოკუმენტაცია და არც დადგენილ 2-5 დღეში არ გაიყვანეს პაციენტი. ნოემბერში, მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა და ექიმმა დამატებით კვლავ ატვირთა საჭირო დოკუმენტაცია პროგრამაში; ამჯერად მდგომარეობის ცვლილება დაფიქსირდა და კომისიაზე პაციენტის გაყვანა მოხერხდა 2-5 დღის ვადაში (პირველად დამდგარი საჭიროებიდან რამდენიმე თვის დაგვიანებით). პაციენტს სამოქალაქო კლინიკაში ჩაუტარდა ქირურგიული ოპერაცია, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად გარდაიცვალა.

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამოქალაქო სექტორის კლინიკაში გაყვანის საკითხი დარეგულირებულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის №55 ბრძანებით[10], რომლის მე-2 მუხლი განსაზღვრავს პენიტენციური დაწესებულებიდან, სამკურნალო დაწესებულებიდან და ცენტრიდან პაციენტის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გეგმური და გადაუდებელი გადაყვანის საკითხს. კერძოდ, პირველ ნაწილში ასახულია, რომ პაციენტის სამედიცინო მომსახურების მიზნით, სამოქალაქო

10 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2311700?publication=10;

სექტორის საავადმყოფოში გეგმური გადაყვანა ხორციელდება კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით, ხოლო გადაუდებელი წესით გადაყვანა ხორციელდება სამედიცინო დეპარტამენტის რეკომენდაციის საფუძველზე, პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით. ბრძანებით განსაზღრულია სამედიცინო ინტერვენციის სახეები: სასწრაფო დაყოვნებული და გეგმური. საქმის გამოძიებისას გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც ექიმმა განსაზღვრა პაციენტის გეგმიური გაყვანის საჭიროება, თუმცა თავადვე მიუთითა, რომ პაციენტს გაყვანა ესაჭიროებოდა გეგმური დაჩქარებული წესით. აღნიშნული ბრძანება არ განსაზღვრავს პაციენტი პატიმრის დაჩქარებული წესით სამოქალაქო სექტორის კლინიკაში გადაყვანის საკითხს (მათ შორის ვადებს). როდესაც ექიმი საჭიროდ მიიჩნევს პაციენტის დაჩქარებული წესით გაყვანას, თუმცა არა გადაუდებელი აუცილებლობის საჭიროებას, სამართლებრივი აქტი არ ავალდებულებს რომელიმე მხარეს უფრო მცირე ვადაში განხორციელდეს პაციენტის რეფერალი, ვიდრე ეს გეგმური რეფერალისთვისაა დადგენილი[11]. ცალკე გამოწვევაა ადამიანური რესურსის ნაკლებობა, რაც ართულებს აღნიშნული ვადების დაცვას ყველა პაციენტთან მიმართებით.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 15 თებერვლის №381 ბრძანება განსაზღვრავს პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების სტანდარტებს. აღნიშნული ბრძანებით, სტანდარტის ერთ-ერთ სახეა გეგმურ ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება. კერძოდ, გეგმური სტაციონარული მომსახურება უპირატესად მოიცავს გეგმიურ ქირურგიულ მკურნალობას და მოლოდინის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს. ეს ვადა შეიძლება დაირღვეს/გადაიდოს ობიექტური მიზეზით, როგორიცაა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მოთხოვნილ მომსახურებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა და ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში არსებული შეფერხებები.

ასევე, გამოწვევაა რეფერალის პროცედურები, რაც თავის მხრივ ქმნის სირთულეებს საგამოძიებო მიმართულებით. №55 ბრძანების მიხედვითაც, მთავარი ექიმი წარადგენს რეფერალის საკითხების განმხილველი კომისიისადმი სათანადო შუამდგომლობის ელექტრონულად, რომელშიც განხილული უნდა იყოს დაწესებულებაში საჭირო სამედიცინო მომსახურების ჩატარების შეუძლებლობა და უნდა ერთვოდეს ფორმა 100, ასევე, ექიმ-სპეციალისტის კონსულტაციის ამსახველი გასინჯვის ფურცელი, რის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს კომისია, განსაზღვრავს ინტერვენციას და რიგის სახეს.

შუამდგომლობის ელექტრონულ წარდგენაში იგულისხმება რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში პაციენტის დარეგისტრირება და სათანადო დოკუმენტაციის ატვირთვა. დარეგისტრირების შემდეგ აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ და ინფორმაციას იღებს შესაბამისი სამმართველო, რომელიც ყველა საჭირო დოკუმენტაცის განსახილველად გადასცემს კომისიას. კომისიის სხდომის ოქმის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება აისახება ამავე პროგრამაში. იმ შემთხვევაში თუ ექიმის მიერ სიტუაციის შეცვლის შესაბამისად დამატებით მოხდება დოკუმენტაციის ატვირთვა (მაგალითად, თუ პაციენტი გასაყვანი იყო გეგმიურად, თუმცა დამძიმდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და ესაჭიროება სასწრაფო დაყოვნებული წესით გაყვანა), ასეთ დროს ექიმის მიერ პროგრამაში ცვლილების ასახვის შემთხვევაში ცვლილებას ვერ ხედავს სამმართველო, თუ თავად ექიმმა არ მიაწოდა ინფორმაცია, ზეპირსიტყვიერად, სატელეფონო ზარით ან ელექტრონულ ფოსტაზე მიწერის გზით. აღნიშნული წარმოადგენს მხოლოდ პრაქტიკაში დადგენილ წესს და სამართლებრივად არ რეგულირდება.

რეკომენდაცია:

— მიზანშეწონილია, მოწესრიგდეს რეფერალთან დაკავშირებით არსებული ელექტრონული პროგრამა, სადაც ასახული ნებისმიერი ცვლილება პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით მყისიერად იქნება თვალსაჩინო და ხელმისაწვდომი შესაბამისი თანამშრომლისთვის. რეკომენდებულია, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოლოდინის პერიოდის (გეგმურ სამედიცინო მომსახურებაზე) დარღვევის

11 ბრძანების თანახმად, სასწრაფო დაყოვნებული რეფერალის შემთხვევაში ინტერვენცია დასაგეგმია - 2-5 დღის ვადაში, ხოლო გეგმიური რეფერალის შემთხვევაში - 1-4 თვის ვადაში.

შემთხვევაში ობიექტური მიზეზები კონკრეტულად იყოს გაწერილი, რაც ნაკლებ საფრთხეს შეუქმნის პაციენტის ჯანმრთელობას;

— მიზანშეწონილია, მეტად ეფექტიანი გახდეს უკვე განსაზღვრული და დადგენილი რეფერალის შესრულების მონიტორინგი როგორც სამოქალაქო კლინიკის, ასევე, ადამიანური რესურსის თვალსაზრისით.

10.10. სუიციდის პრევენციის პროგრამის გამოწვევები

საქართველოს იუსტიციის მინისტრის, 2020 წლის 26 ოქტომბრის N643 ბრძანებით დამტკიცდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამა, რომლის მიზანი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებოდაწესებულების–სპეციალურიპენიტენციურისამსახურისადმიდაქვემდებარებულ პენიტენციურ დაწესებულებებში სუიციდისკენ მიდრეკილ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გამოვლენა, მათთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული დახმარების მიწოდების ხელშეწყობა და სუიციდით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება.

ზემოხსენებული სამართლებრივი აქტი განსაზღვრავს პატიმართა სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართვის საკითხებს, მათ შორის პროგრამის მიზანს, რომელსაც წარმოადგენს სუიციდისკენ მიდრეკილ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გამოვლენა და სუიციდით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია დროულად მოხდეს სუიციდის რისკის მატარებელი პირების იდენტიფიცირება და მათი პროგრამაში ჩართვა.

ამ კუთხით, შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დებულებებში, პატიმართა მიღებისას, განსაზღვრულია შემდეგი ვალდებულება: ადგილობრივი კოორდინატორის შეტყობინების საფუძველზე, სუიციდის რისკის მიმოხილვითი შეფასების მიზნით, აღნიშნული პატიმრის ფსიქოლოგის შეხვედრის აუცილებლობა. ამასთან, სამართლებრივ აქტებში არ არის განსაზღვრული, დაწესებულებაში მიღების შემდეგ, გარკვეული პერიოდულობით პატიმართა სავალდებულო სპეციალური სკრინინგის ჩატარება სუიციდის რისკების გამოსავლენად და შესაფასებლად, რაც საყურადღებოა.

სამართლებრივი აქტებით არ რეგულირდება სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართულ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეფექტურ კონტროლს დაქვემდებარებულ პირთა მიმართ, პენიტენციური დაწესებულების გარეთ ყოფნისას (მათ შორის სამოქალაქო კლინიკაში, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განმახორციელებელ საექსპერტო დაწესებულებაში და ა.შ.) გასატარებელი ღონისძიებები და სპეციფიკური მიდგომები, მათ შორის, მუდმივი ვიდეომონიტორინგი და/ან უშუალო ვიზუალური მეთვალყურეობა გარკვეული პერიოდულობით.

პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის მიერ განხორციელებული სუიციდის ფაქტთან დაკავშირებული სამსახურში მიმდინარე გამოძიების პროცესში, გამოიკვეთა, რომ საჭიროა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა უფლება-მოვალეობების მარეგულირებელი ცალკეული სამართლებრივი აქტების დახვეწა, რიგ შემთხვევაში, კი შექმნა.

რეკომენდაცია:

— მიზანშეწონილია, დაიხვეწოს სუიციდის რისკის მიმოხილვითი შეფასებისას ქულების მინიჭების სქემა, რათა არ მოხდეს ისეთი პატიმრებისთვის დაბალი რისკის განსაზღვრა (რაც ნიშნავს პატიმრის დარჩენას სუიციდის პრევენციის პროგრამის მიღმა), რომლებიც ობიექტურად არიან საშუალო ან/და მაღალი რისკის მატარებელნი;

— მიზანშეწონილია, სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართულ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეფექტურ კონტროლს დაქვემდებარებულ პირთა პენიტენციური დაწესებულების გარეთ ყოფნის სამართლებრივი რეგულირების სფეროში მოქცევა, ამ მიზნით საუკეთესო ევროპული გამოცდილების კვლევა და პრაქტიკაში მისი დანერგვა.

10.11. აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს მიერ უძრავი ქონების გამოთხოვის (გამოსახლების) პროცესის მიმდინარეობისას არსებული გამოწვევები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით შესაძლო გადამეტების ფაქტთან დაკავშირებით 4 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება. წინა წლებთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაზრდილია.

გამოძიების ფარგლებში, აღსრულების ეროვნული ბიუროდან მიღებულია ინფორმაცია, რომ აღსრულების პოლიციის სამმართველოს თანამშრომლების მხრიდან სხვისი მფლობელობიდან ან/და სარგებლობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის (გამოსახლების) - იძულებითი აღსრულების პროცესში არ ხდება ვიდეო გადაღება, რადგან აღსრულების პოლიციის თანამშრომლები სამხრე ვიდეოკამერებით აღჭურვილი არ არიან. „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აღსრულების პოლიციელს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, პირადი, აღსრულების ეროვნული ბიუროს პერსონალის და სააღსრულებო მოქმედების განხორციელების პროცესში მონაწილე პირთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, თუ ძალის გამოყენების გარეშე ვერ ასრულებს მოვალეობას. აღსრულების პოლიციელს, ასევე, უფლება აქვს შეინახოს, ატაროს და გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი და სპეციალური საშუალებები.

როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, აღსრულების პოლიციის თანამშრომლებს, გამოსახლების პროცესის მიმდინარეობისას ხშირად უწევთ ძალის გამოყენება, გამოსახლების უმეტეს პროცედურას თან სდევს იმ პირთა განსაკუთრებული აგრესია და აღსრულების თანამშრომლების მიმართ ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევაც კი, რომლებიც ექვემდებარებიან გამოსახლებას. ამდენად, აღსრულების პოლიციელებს ხშირად უწევთ ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენება.

რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია, მოქალაქესა და აღსრულების პოლიციის თანამშრომლებს შორის მომხდარი ინციდენტის ობიექტურად შესაფასებლად, აღსრულების პოლიციის სამმართველოს თანამშრომლების მხრიდან სხვისი მფლობელობიდან ან/და სარგებლობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის (გამოსახლების) პროცესის მიმდინარეობისას განხორციელდეს პროცესის აუდიო-ვიდეო ფიქსაცია, ღონისძიებაში ჩართული თანაშრომლების სამხრე კამერების საშუალებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება, ერთმნიშვნელოვნად აამაღლებს აღსრულების პოლიციის თანამშრომლების საქმიანობის მიმართ მოქმედების ნდობას, ასევე, იქნება მოქალაქეთა უფლებების დაცვის დამატებითი გარანტია.

10.12. საერთო სასამართლოების ადმინისტრაციულ შენობებში დაკავებული პირების/პატიმრების განთავსებისა და გადაადგილდების სივრცეების ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით აღჭურვა

სამსახურის წარმოებაშია რამდენიმე საქმე, სადაც სავარაუდო მსხვერპლის მითითებით, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ფიზიკური ძალადობა განხორციელდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ შენობაში არსებული დაკავებული პირების განთავსების საკანში ყოფნისას, როდესაც პატიმარი ელოდებოდა სასამართლო პროცესის დაწყებას ან/და პენიტენციურ დაწესებულებაში დაბრუნებას. ასეთ შემთხვევაში, გამოძიებისთვის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ფაქტის ამსახველი ვიდეოჩანაწერების მოპოვება და თვითმხილველ მოწმეთა ვინაობის დადგენა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში დაკავებული პირების განთავსების ყველა ის საკანი და ლოკაცია, სადაც გადაადგილდება დაკავებული პირი, მათ შორის, საკნების მიმდებარე დერეფნები, არ არის აღჭურვილი ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით, შესაბამისად, გამოძიებისთვის საინტერესო ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების არარსებობის გამო, შეუძლებელი ხდება ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვება, რაც ართულებს საქმის გარემოებების სრულყოფილი შესწავლის პროცესს.

გარდა ამისა, პრაქტიკის შესწავლით ირკვევა, რომ დაკავებული/დაპატიმრებული პირი თბილისის საქალაქო სასამართლომდე ტრანსპორტირების შემდგომ, სასამართლო პროცესის დაწყებამდე, თავსდება შენობაში არსებულ დაკავებულთა განთავსების სივრცეში არსებულ საკანში, მასზე კი მეთვალყურეობას ახორციელებენ სასამართლოს შენობაში წარმდგენი სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები. თუმცა, იმ ინფორმაციის აღრიცხვა-სისტემატიზაციას - თუ კონკრეტულად, რომელ საკანში, ვის მიერ და რა პერიოდით მოთავსდა დაკავებული/დაპატიმრებული პირი, თბილისის საქალაქო სასამართლო არ ახდენს (არც სასამართლოს ადმინისტრაცია და არც დაკავებული/დაპატიმრებული პირის წარმომდგენი უწყებები). ასეთ შემთხვევაში, გამოძიების პროცესში რთულდება იმ ფაქტის დადგენა, კონკრეტულად სად, რომელ საკანში იმყოფებოდა დაკავებული პირი, ვინ მოახდინა მისი გადმოყვანა/გაყვანა, ვინ იყვნენ იმ დღეს მოყვანილი სხვა დაკავებული/დაპატიმრებული პირები, ხოლო ვიდეოჩანაწერის არარსებობის პირობებში, საკითხის სრულყოფილი შესწავლა პრაქტიკულად შეუძლებელია და არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს.

რეკომენდაცია:

- მიზანშეწონილია, საერთო სასამართლოების ადმინისტრაციული შენობის დაკავებულთა განთავსების სივრცეში, მათ შორის, დაკავებულთა განთავსების ყველა საკანი, საკნების მიმდებარე დერეფნები აღიჭურვოს ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით;

- მიზანშეწონილია, წარმოებდეს საკნებში პირის/პატიმრის მოთავსების პროცესისა და მათი წარმდგენი პირების აღრიცხვა-სისტემატიზაცია, კონკრეტულ საკანში შესვლისა და საკნიდან გამოსვლის დროებისა და წარმდგენი/გამყვანი პირების მითითებით.

11. დადებითი ტენდენციები

11.1. შეტყობინების გადმოგზავნის დროულობა და რელევანტური საკომუნიკაციო დანაყოფები

2023 წლის განმავლობაში სამსახურში შემოსული სავარაუდო დანაშაულის შესახებ შეტყობინებების ყველაზე დიდი ნაწილი (67%) სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროდანაა. კერძოდ, დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან გადმოიგზავნა სამსახურში შემოსული შეტყობინებების 40% - 1006 შეტყობინება, ხოლო გენერალური ინსპექციიდან 25% - 631 შეტყობინება. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან, ისე შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან შეტყობინებები სამსახურში იგზავნება შემჭიდროებულ ვადებში. საგულისხმოა, რომ შეტყობინებებზე დროული რეაგირებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიწოდებისას გამართული და სწრაფი მექანიზმის არსებობა.

11.2. დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაშვება და დისტანციური კომუნიკაცია

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინიციატივით შექმნილ ცალკეული სამოხელეო დანაშაულების პრევენციის საბჭოს სხდომაზე, 2023 წლის ივნისში, უწყებებს შორის შედგა შეთანხმება, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაუბრკოლებლად, ყოველგვარი ნებართვის გარეშე შესვლას და დაკავებულ პირებთან შეხვედრას შეძლებდნენ.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შს მინისტრის 2016 წლის 02 აგვისტოს N423 ბრძანებაში 2023 წლის 06 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებს მიეცათ ყოველგვარი ნებართვის გარეშე, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაუბრკოლებლად შესვლისა და დაკავებულ პირებთან შეხვედრის უფლებამოსილება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იზოლატორები, ასევე, მაქსიმალურად თანამშრომლობენ სამსახურის წარმომადგენლებთან, რათა უზრუნველყონ დაკავებული პირების შემჭიდროებულ ვადებში დისტანციური გამოკითხვისთვის ვიდეო-ტექნიკური მხარდაჭერა.

11.3. პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული პირების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება

დადებითად უნდა შეფასდეს პატიმართა და თავისუფლებააღკვეთილ პირთა გარდაცვალების ფაქტებთან დაკავშირებული შეტყობინებების, 24-საათიანი რეჟიმით სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გადმოგზავნის საკითხი. იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან, ასევე, იგზავნება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა განცხადებები და მასალები, თუ გამოძიების მიმდინარეობისას ან მის დაწყებამდე ჩატარებული გასაუბრებისას გამოიკვეთება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულის ნიშნები.

ისევე როგორც 2022 წელს, 2023-შიც გრძელდება დადებითი ტენდენცია. საანგარიშო წლის განმავლობაში სამსახურში შემოსული სავარაუდო დანაშაულის შესახებ შეტყობინებების ნაწილი - 205 (9.1%) სწორედ იუსტიციის სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფებიდანაა გადმოგზავნილი.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის წლის 15 დეკემბრიდან ამოქმედდა პენიტენციური კოდექსი, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა და უკეთ დაარეგულირა შემდეგი საკითხები:

- სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებს მიეცათ უფლება ყოველგვარი ნებართვის გარეშე, სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოშიც დაუბრკოლებლად შეხვდნენ და გაესაუბრონ პატიმარს/მსჯავრდებულს;

- პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის/მსჯავრდებულის მიმართ დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას აღარ შეაჩერებს ან შეამოწმებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენციას, როდესაც ადრესატი ან ადრესანტია სპეციალური საგამოძიებო სამსახური;

- ბრძანებიდან კოდექსში გადმოინაცვლა სამედიცინო პერსონალის ვალდებულებამ, პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების გაწევისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხეულზე დაზიანების დაფიქსირების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს;

- პენიტენციურ დაწესებულებებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველსა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს მიენიჭა უფლებამოსილება, ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეხვდეს სპეციალურ ოთახში, სადაც ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი არ ხორციელდება, უსაფრთხოების პირობების დაცვით. თუ ამგვარი კონფიდენციალური შეხვედრის შედეგად სახალხო დამცველს/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს მიეწოდება ინფორმაცია ისეთი ქმედების ჩადენის შესახებ, რაც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობას მიკუთვნებული დანაშაულის ნიშნებზე მიუთითებს, ამის შესახებ, თავის მხრივ, ეცნობება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, რომელიც შესაბამის რეაგირებას მოახდენს;

- ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელებისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის დისციპლინური დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში მასალა დაარქივდება განსაზღვრული ვადით, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში მისი მტკიცებულებად გამოყენების მიზნით. ამავე მასალებში დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას დაარქივებული მასალა შესაძლებელია სისხლის სამართლის საქმეშიც იქნეს გამოყენებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ზოგადი წესით, მათ შორის, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობას მიკუთვნებული დანაშაულის გამოძიებისას.

12. გამოძიების წინაშე არსებული გამოწვევები

12.1. სასამართლოდან არასათანადო მოპყრობის შესახებ შეტყობინებების გადმოგზავნის ტენდენცია

„ცინცაბაძის ჯგუფის“ საქმეებზე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას არასათანადო მოპყრობის შემთხვევების ეფექტიანი გამოვლენისა და პრევენციის მიზნით დამატებითი ღონისძიებების ჩატარების თაობაზე. კომიტეტმა აღნიშნა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის შემთხვევების შესახებ შეტყობინების ვალდებულების შესაბამისობა „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის“ შესახებ საქართველოს კანონთან და ხაზი გაუსვა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული ახალი საკანონმდებლო გარანტიების მოსამართლეთა მხრიდან ეფექტიანად გამოყენების ზრდის მნიშვნელობას. უნდა აღნიშნოს, რომ 2019 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე (სსსკ-ის 191[1] -ე მუხლი) თუ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე მოსამართლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელდა წამება, დამამცირებელი ან/ და არაადამიანური მოპყრობა ან თუ ამის შესახებ თავად ბრალდებულმა/ მსჯავრდებულმა განუცხადა სასამართლოს, მოსამართლე რეაგირებისთვის მიმართავს გამოძიების შესაბამის ორგანოს. ანალოგიური შინაარსის ცვლილება შევიდა 2022 წლის 18 ოქტომბერს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 238[1]-ე მუხლში. აღნიშნულმა ცვლილებებმა მოსამართლეები, რომლებსაც შეხება აქვთ როგორც ადმინისტრაციული, ისე სისხლის სამართლის წესით დაკავებულ პირებთან, მნიშვნელოვანი სამართლებრივი რეაგირების ბერკეტით აღჭურვა, წამების, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობის შესახებ ეჭვის არსებობისას მიმართონ შესაბამის სამსახურს, ამ შემთხვევაში სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.

სამსახური, სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისას, სხვა საკითხებთან ერთად, ამუშავებს მონაცემებს იმის თაობაზე, თუ რომელი უწყებებიდან შემოდის რეაგირებისთვის შეტყობინებები სამსახურის ქვემდებარეობას მიკუთვნებულ დანაშაულებზე.

2022 წლის 10 თვის მონაცემებით, სამსახურში შემოსული 2368 შეტყობინებიდან მხოლოდ 3% (77) შემოვიდა საერთო სასამართლოებიდან (კოლეგიის მიუხედავად), მაშინ როდესაც საქართველოს პროკურატურიდან, იგივე პერიოდში შემოვიდა 8% - 180 შეტყობინება. 2023 წლის მონაცემებით, სამსახურში შემოსული 2245 შეტყობინებიდან მხოლოდ 4% (90) შემოვიდა საერთო სასამართლოებიდან (კოლეგიის მიუხედავად), მაშინ როდესაც საქართველოს პროკურატურიდან შემოსულია 6% (160) შეტყობინება). აღნიშნული მონაცემები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სისხლის სამართლის მიმართულებით მომუშავე მოსამართლეები კანონით გათვალისწინებული რეაგირების ფორმად ხშირად ირჩევენ პროკურორისთვის ზეპირი დავალების მიცემას, ხოლო ადმინისტრაციული მიმართულებით მომუშავე მოსამართლეები ჯერ კიდევ სათანადოდ არ იყენებენ ამ უფლებამოსილებას. სამსახურის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მსხვერპლის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის შემთხვევებზე სათანადოდ რეაგირებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სამსახური შეტყობინებას იღებდეს დროულად და ყველა წყაროდან. რიგ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ მიღებული ინფორმაცია დუბლირებულად, სხვადასხვა უწყებიდან, დამოუკიდებლადაც გამოიგზავნოს. აღნიშნული მხოლოდ ზრდის მსხვერპლის დარღვეულ უფლებებზე სამსახურის რეაგირების შესაძლებლობას.

შესაძლებელია, ცალკეული სამოხელეო დანაშაულის პრევენციის საკოორდინაციო საბჭოს ან/და ე.წ „ბენჩ ბარის“ ფორმატით გაიმართოს შეხვედრები სპეციალური საგამოძიებო სამსახურის, საერთო სასამართლოებისა და პროკურატურის მონაწილეობით შეტყობინების ირგვლივ არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს შეტყობინების ამ მნიშვნელოვანი მექანიზმის აღსრულების დახვეწას, რაც თავის მხრივ გამორიცხავს ასეთი ფაქტის სამართლებრივი რეაგირების მიღმა დარჩენის ერთეულ შემთხვევებსაც კი.

12.2. პოტენციური მსხვერპლის აღჭურვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების შესაბამისად, დაზარალებული იმ მოცულობით უნდა იყოს გამოძიების პროცესში ჩართული, რამდენადაც აუცილებელია მისი ინტერესების დაკმაყოფილებისთვის. სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად, ასევე, მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ არაპირდაპირი მსხვერპლი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინფორმაციულ ვაკუუმში რჩება. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის N2012/29/ EU დირექტივის თანახმად, რომელიც აწესებს დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების დახმარებისა და დაცვის მინიმალურ სტანდარტებს, მსხვერპლი არის ფიზიკური პირი, რომელმაც მიიღო ფიზიკური, ფსიქიკური და ემოციური ზიანი, რაც გამოწვეული იყო დანაშაულებრივი მოქმედებით. ამავე დირექტივის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დაუსაბუთებელი დაყოვნების გარეშე მსხვერპლის ინფორმირება გამოძიების არდაწყების, გამოძიების შეწყვეტის ან დევნის არდაწყების შესახებ. დირექტივაში, ასევე, მითითებულია, რომ მსხვერპლის სტატუსი უნდა მიენიჭოს მათ შორის დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრებს. გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამბობს, რომ ისინი ჩართულნი უნდა იყვნენ გამოძიების მიმდინარეობაში იმ დოზით, რამდენადაც ეს საჭიროა მათი ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად.

ამ მხრივ, სასამართლომ არაერთ საქმეში დაადგინა დარღვევა, ვინაიდან მსხვერპლის ოჯახის წევრს არ ჰქონდა წვდომა გამოძიების მასალებზე[12]. საერთაშორისო კანონმდებლობა და გამოცდილება დაზარალებულად ცნობას არ ითვალისწინებს და ადამიანი დაზარალებულად ან შესაძლო მსხვერპლად მიიჩნევა, მაშინვე, როდესაც იგი პრეტენზიას გამოთქვამს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ მას მიადგა ზიანი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაზარალებულის საკმარისი მონაწილეობა განაპირობებს გარკვეულ სარგებელს მთლიანად მართლმსაჯულების სისტემისთვის, ვინაიდან დაზარალებულის ჩართულობა შესაძლოა მნიშვნელოვანი დამხმარე ფაქტორი იყოს გამოძიებისთვის და ხელშემწყობი აღმოჩნდეს ჭეშმარიტების დადგენის პროცესისთვის[13].

დაზარალებულის ეფექტიანი ჩართულობა, ასევე, ხელს შეუწყობს გამოძიებისა და მართლმსაჯულებისადმი ნდობის ამაღლებას[14]. თუ დანაშაულის შესაძლო მსხვერპლი სისხლის სამართლის პროცესში არ არის სათანადოდ ინფორმირებული, აღნიშნული იწვევს მის მეორეულ ვიქტიმიზაციას და პირიქით, თუ იგი იღებს მისთვის საჭირო ინფორმაციას, თავს გრძნობს აღიარებულად, უმარტივდება დანაშაულით მიყენებულ ტრავმებთან გამკლავება. დანაშაულის შესაძლო მსხვერპლს ასეთ შემთხვევაში, აქვს შესაძლებლობა გამოთქვას აზრი ჩატარებულ გამოძიებასთან დაკავშირებით და უჩნდება ნდობა საგამოძიებო ორგანოს მიმართ. აღნიშნული კი, საბოლოო ჯამში, პირდაპირ გავლენას ახდენს ეფექტიანი გამოძიების წარმოებაზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაზარალებულის აღჭურვა სათანადო ინფორმაციით, ემსახურება მისი (დაზარალებულის) ინტერესების ეფექტიან დაცვას, მაგალითად, შესაძლებლობას, გაასაჩივროს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილება. მეორე მხრივ, დაზარალებულს ეძლევა სასამართლოსთვის ან

12 „ცინცაბაძის ჯგუფის“ საქმეებთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა საქართველოსთან მიმართებით გასცა მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შესახებ კანონმდებლობის/პრაქტიკის გაუმჯობესების რეკომენდაცია, მათ შორის გამოძიების შეწყვეტის გადაწყვეტილებების გასაჩივრების ჭრილში. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მსხვერპლს შეეძლოს გაასაჩივროს გამოძიების შეწყვეტის გადაწყვეტილება, რათა გამოძიების პროცესმა და მისმა შედეგებმა გაიაროს ობიექტური არბიტრის პროცესუალური კონტროლი;

13 Siliadin v. France; C. N. and V. v. France; CN v. United Kingdom და სხვა; 68 - Al-Skeini and Others v. the United Kingdom; 69 - Betayev and Betayeva v. Russia; Boychenko v. Russi; Mezhiyeva v. Russia;

14 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „ საქართველოს მოქალაქე კონსტანტინე გამსახურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ზემდგომი პროკურორისთვის მიმართვის მეშვეობით საგამოძიებო საქმიანობის კონტროლის შესაძლებლობა. ინფორმირებულ დაზარალებულს აქვს საშუალება, საგამოძიებო საქმიანობის ხარვეზიანობის შემთხვევაში მიიპყროს საზოგადოების ყურადღება და ამ გზით გაზარდოს გამოძიებაზე საზოგადოების კონტროლი. ამდენად, ინფორმაცია დაზარალებულის ხელთ არსებულ ყველაზე მძლავრ იარაღს წარმოადგენს გამოძიების თვითნებობის შესაზღუდად და საკუთარი უფლებების სწორად რეალიზებისთვის.

მიზანშეწონილია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდეს ცვლილებები და მსხვერპლს (რომელიც უთითებს მის მიმართ „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენაზე და ზიანის მიღებაზე) ან/და ასეთი ქმედების შედეგად გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრს (მათ შორის გარდაცვლილთან მუდმივად მცხოვრები პირი) მიეცეს პროკურორის მიერ მიღებული გამოძიების შეწყვეტის გადაწყვეტილების სასამართლოში ერთჯერადად გასაჩივრების უფლება.

12.3. მოწმის/დაზარალებულისა და მსხვერპლთა უფლებების დაცვის გაძლიერება

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ობიექტური გამოძიების წარმართვის აუცილებელ წინაპირობას გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი ნდობის მაღალი ხარისხის არსებობა განაპირობებს. სწორედ ამიტომ ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი გარანტიების შექმნა და პოტენციურ მსხვერპლზე მორგებული ეფექტური კომუნიკაციის მექანიზმების დანერგვა სამსახურის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

სამსახურში, ამოქმედებიდან მალევე პოტენციური მსხვერპლებისათვის:

ა) საქმის მასალების გაცნობის გამარტივებული წესი დაინერგა;

ბ) მსხვერპლთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დაცვის სპეციალური პროგრამა ამოქმედდა;

გ) სამსახურის სერვისებზე წვდომისა და მსხვერპლთა უფლებების უკეთ რეალიზების უზრუნველსაყოფად, მსხვერპლთა უფლებების დაცვის სამმართველო შეიქმნა, რომელიც მოქალაქეების დახმარებას ყოველდღიურად ახორციელებს. სწორედ ზემოაღნიშნული სიახლეების პრაქტიკაში ეფექტიანად განხორციელებამ უზრუნველყო პოტენციური მსხვერპლი და დაზარალებული უფლებების დაცვის დამატებით გარანტიებით.

როგორც ცნობილია, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური საქართველოს პროკურატურასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში წლებია ფუნქციონირებს, რომლებიც 2018 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, პროცესის მონაწილე სუბიექტებიც გახდნენ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებული რედაქციით, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სისხლის სამართლის პროცესში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი ან გამომძიებელი, რომელშიც კანონმდებლობით მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებელი იგულისხმება. მსგავსი და კიდევ უფრო ფართო ფუნქციის მქონე სამსახური სპეციალურ საგამოძიებო სამსახურშიც არსებობს, რომელიც საქართველოს რეგიონებსაც ფარავს.

მსხვერპლთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ გამოძიების ეტაპზე იგივე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელსაც მიენიჭოს, რათა სრულად იქნას უზრუნველყოფილი მსხვერპლთა და დაზარალებულების გამოძიების პროცესში ყოველგვარი დისკომფორტისა და მეორეული ვიქტიმიზაციის გარეშე მონაწილეობა, განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან დანაშაულებზე, როგორიცაა წამება, არასათანადო მოპყრობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფა და სხვა. მსხვერპლთა უფლებების სამმართველოს წარმოადგენლების კომუნიკაცია გამოძიების სრულ ეტაპზე კიდევ ერთხელ მნიშვნელოვნად გაზრდის მსხვერპლთა ჩართულობასა და მათ მხარდაჭერას.

შესაბამისად, მიზანშეწონილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდეს ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც პროცესის მონაწილე სუბიექტების ჩამონათვალს დაემატებიან მსხვერპლთა უფლებების დაცვის სამმართველოს თანამშრომლებიც.

12.4. ხანგრძლივად მიმდინარე კომისიური ექსპერტიზები

გამოძიებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფ პირთა გარდაცვალების საქმეთა გამოძიება, რადგან დღის წესრიგში დგება კომისიური სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების საჭიროება. ასეთი შემთხვევები ხდება მაშინ, როდესაც სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტის მიერ გაცემულია პირველადი სამედიცინო დასკვნა, რომელშიც მართალია მითითებულია გარდაცვალების კატეგორიული ან/და სავარაუდო მიზეზი, თუმცა არსებობს კითხვები გარდაცვალებამდე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის სწორი დიაგნოსტირების, მკურნალობის დაგეგმვისა და მის სწორად, დროულად და ხარისხიანად წარმართვასთან (მკურნალობის მართვა) დაკავშირებით.

კომისიური სამედიცინო ექსპერტიზა გამომძიებლის მიერ ინიშნება შესაბამისი დადგენილებით, ხოლო მისი ჩატარება ევალება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვებიდან გამომდინარე, საკითხის შესწავლა ძირითად შემთხვევებში უნდა განხორციელდეს სამედიცინო სფეროს სხვადასხვა მიმართულების დარგის (ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია, კარდიოლოგია, ენდოკრინოლოგია და ა.შ.) ექიმ-სპეციალისტების მიერ. ისინი, წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლიან საკითხს ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვების საფუძველზე და ამზადებენ შესაბამის რეცენზიას. აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოადგენს დასკვნის საბოლოო ფორმას, თუმცა არის მისი შემადგენელი ნაწილი. ექიმ-სპეციალისტის მიერ მომზადებული რეცენზიები გადაეცემა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამის ექსპერტს, რომელიც აღნიშნული რეცენზიების გათვალისწინებით გასცემს ექსპერტიზის დასკვნას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დასაქმებული არ არიან შესაბამისი დარგის ექიმ-სპეციალისტები. ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, შესაბამისი დარგის ექიმ-სპეციალისტების გამოყოფის მოთხოვნით სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მიმართავს საგამოძიებო სამსახურს და საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. სამინისტრო სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს წარუდგენს შესაბამისი დარგის ექიმ-სპეციალისტების კანდიდატურას, თუმცა მოქმედი ნორმატიული აქტები დღეის მდგომარეობით არ ავალდებულებს შერჩეულ ექიმ-სპეციალისტს მონაწილეობა მიიღოს ექსპერტიზის ჩატარებაში. გარდა ამისა, აღნიშნული ნორმატიული აქტი, ექიმ-სპეციალისტის მხრიდან თანხმობის გაცხადების შემთხვევაში არ ითვალისწინებს ანაზღაურებას ექსპერტიზის პროცესში შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ, რაც, ასევე, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექიმ-სპეციალისტის მონაწილეობა კომისიური ექსპერტიზის ჩატარებაში არის ნებაყოფლობითი და მისი მხრიდან უარის თქმის შემთხვევაში საგამოძიებო სამსახურს ან სხვა უწყებას არ აქვს სამართლებრივი ბერკეტი, უზრუნველყოს ექიმ-სპეციალისტის სავალდებულო მონაწილეობა ექსპერტიზაში. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ექიმ-სპეციალისტი შეისწავლის იმ პირთა ქმედებებს, რომლებიც მუშაობენ სამედიცინო სფეროში, რაც გარკვეულწილად დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს და ზრდის ექიმ-სპეციალისტის მხრიდან უარის თქმის მოტივაციას.

დღეის მდგომარეობით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებული ამ კატეგორიის საქმეებიდან 17-ზე დანიშნულია კომისიური სამედიცინო ექსპერტიზა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ პირველი კომისიური სამედიცინო ექსპერტიზა დაინიშნა 2020 წლის 8 ივლისს, ჯერ

კიდევ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ფარგლებში, არცერთი ექსპერტიზა დღემდე არ დასრულებულა, რადგან ძირითად შემთხვევებში ექიმ-სპეციალისტებმა უარი განაცხადეს

ექსპერტიზაში მონაწილეობის მიღებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელი ხდება გამოძიებამ დროულად გასცეს პასუხი კითხვას, სათანადო მკურნალობა ჩაუტარდა თუ არა მსხვერპლს

და ხომ არ გამხდარა გარდაცვალების მიზეზი არასათანადო მკურნალობა. აღნიშნული კი უარყოფითად აისახება გამოძიების ხარისხზე, დროულობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური შეეცდება ქვემოაღნიშნული და იდენტიფიცირებული სხვა ხარვეზები, რომლებიც აფერხებს მიმდინარე გამოძიების პროცესს, წარმოადგინოს სამსახურის ინიციატივით შექმნილ ცალკეული სამოხელეო დანაშაულის პრევენციის საბჭოზე, სადაც სახელმწიფო დაწესებულებების ერთობლივი, კოორდინირებული მუშაობის გზით შესაძლებელი გახდება ამ საკითხების მოგვარება და მათი სამართლებრივი გზით გადაწყვეტა.

რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია, გატარდეს აქტიური ღონისძიებები როგორც სამართლებრივი რეგულირების, ასევე, პრაქტიკული ქმედებების სახით. ეფექტიანი იქნება აღნიშნული საკითხის მოგვარება შემდეგი შესაძლო გზებით:

1. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები სხვადასხვა დარგის ექიმ-სპეციალისტებთან, რომლებსაც ხელშეკრულების შესაბამისად ექნებათ ვალდებულება განსაზღვრული ანაზღაურების სანაცვლოდ მონაწილეობა მიიღონ ექსპერტიზის ჩატარებაში;

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შესაძლებელია შემუშავდეს სამართლებრივი აქტი, რომელშიც გაიწერება ექიმ-სპეციალისტის ვალდებულება საექსპერტო დაწესებულების ან საგამოძიებო სამსახურის მიმართვის შემთხვევაში ანაზღაურების სანაცვლოდ მიიღოს მონაწილეობა ექსპერტიზის ჩატარებაში (გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც კონკრეტული ექიმ-სპეციალისტის ექსპერტიზაში მონაწილეობა ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს აღნიშნულ ექიმ-სპეციალისტს ან სხვა პირს). ამასთან, სასურველია ექიმ-სპეციალისტის ექსპერტიზის ჩატარებაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით ვალდებულების გაწერასთან ერთად გათვალისწინებული იქნეს ერთგვარი წამახალისებელი ღონისძიება აღნიშნული ექიმ-სპეციალისტის მიმართ მისი ექსპერტიზაში მონაწილეობის შემთხვევაში.

სამსახურის 2024 წლის გეგმები

13.1. გამომძიებელთა შეფასების სისტემის დანერგვა და პილოტირება

სამსახურმა შექმნის დღიდან მთავარ პრიორიტეტად დაისახა გამოძიების მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა. ამ მიზნის ფარგლებში შემუშავდა და სამომავლოდ დამტკიცდება გამოძიების ხარისხის შეფასების სახელმძღვანელო, რომელიც შესაძლებელს გახდის წინასწარ განსაზღვრული სტანდარტით განხორციელდეს გამოძიების ხარისხის, ასევე, ინდივიდუალური გამომძიებლის მიერ გაწეული საქმიანობის შეფასება. აღნიშნული ხელს შეუწყობს გამოძიების მიმდინარეობისას წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათ გადასაჭრელად სხვადასხვა ზომის მიღებას.

13.2. ეთიკის კოდექსის შემუშავება

კვალიფიციური საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით, დაგეგმილია განახლებული, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი, ეთიკის კოდექსის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სამსახურში დასაქმებულ პირთა კანონმდებლობით განმტკიცებული პრინციპების შესაბამის საქმიანობას.

13.3. ოჯახური ძალადობის დანაშაულის გამოძიების სტანდარტებისა და რეკომენდაციების შემუშავება

დამკვიდრებული საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული მექანიზმების მიუხედავად, კვლავ გამოწვევად რჩება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა. კანონმდებლობით განსაზღვრული მანდატის გათვალისწინებით, სამსახურისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ჩადენილი ოჯახური დანაშაულები მიეკუთვნება. ამ კუთხით ერთგვაროვანი მიდგომების დამკვიდრების, გამოძიების პროცესში საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებისა და მსხვერპლზე ორიენტირებული სერვისების განვითარების მიზნით დაგეგმილია ოჯახური დანაშაულის გამოძიების რეკომენდაციის შემუშავება.

13.4. პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფასთან დაკავშირებული დანაშაულის გამოძიების სახელმძღვანელოს შემუშავება და დანერგვა

ციფრული ეპოქისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით, განსაკუთრებით აქტუალურ საკითხს პირადი ცხოვრების დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. სამსახურის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მზარდია ამ მიმართულებით მომართვიანობა. ასევე, ხშირად დანაშაულის მსხვერპლებს არასრულწლოვანი პირები წარმოადგენენ. საკითხის მნიშვნელობისა და სენსიტიურობის გათვალისწინებით, გამოძიების ერთიანი სტანდარტითა და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების საფუძველზე წარმართვისთვის დაგეგმილია ამ კუთხით სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა.

13.5. ხელბორკილების გამოყენების სახელმძღვანელო წესების შემუშავება და დანერგვა

არსებული პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სავარაუდო მსხვერპლები პოლიციელთა მხრიდან ძალადობის ფაქტებზე პრეტენზიის დაფიქსირებისას, მათზე განხორციელებული ძალადობის ფორმად, მთელ რიგ შემთხვევებში, ხელბორკილის მიზანმიმართულად ძლიერად მოჭერაზე მიუთითებენ. საკითხის რეგულირებისა და ამ მიმართულებით პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, სამსახური გეგმავს ხელბორკილის გამოყენებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავებას. დოკუმენტი დაეხმარება საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებს, წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით მიიღონ სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, ხელბორკილის გამოყენების მიზანშეწონილობასა და დროულობასთან დაკავშირებით, მათ შორის დაკავებული პირის სათანადო ქცევისა და საკუთარი და საგამოძიებო მოქმედებებში ჩართული სხვა თანამშრომლების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

13.6. სამხრე და ე.წ „ბორტის კამერების“ გამოყენების დანერგვა და გამოყენების სახელმძღვანელო წესების შემუშავება

2022 წლის 1 მარტიდან გაზრდილი საგამოძიებო მანდატის პირობებში, სხვადასხვა შინაარსისა და სპეციფიკის დანაშაულთა გამოძიებისას, თვისობრივად განსხვავებული შესაძლო დანაშაულის ჩამდენ პირთა გათვალისწინებით, სამსახურის წინაშე წამოიჭრა მთელი რიგი გამოწვევები. აღნიშნულის საპასუხოდ, უწყებამ მიიღო სამხრე და ე.წ „ბორტის კამერების“ გამოყენების გადაწყვეტილება, რაც შესაძლებელს გახდის შეიქმნას პირის ეფექტური კონტროლის ქვეშ ყოფნის ამსახველი უტყუარი მტკიცებულება და გამოირიცხოს სამსახურის თანამშრომელთა მიერ შესაძლო გადაცდომის ჩადენის ან უფლებამოსილების გადამეტების ნებისმიერი ეჭვი.

13.7. არასრულწლოვანთა გამოკითხვის ინსტრუქციის შემუშავება

კანონმდებლობით სამსახურისთვის მინიჭებული მანდატის გათვალისწინებით, ხშირია შემთხვევები რა დროსაც იკვეთება არასრულწლოვან პირთა გამოკითხვის აუცილებლობა. ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებით საგამოძიებო პროცესში არასრულწლოვანთა ჩართვა მოითხოვს განსხვავებული მიდგომის განვითარებას. შესაბამისად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრაქტიკული იმპლემენტაციის მიზნით, სამსახური გეგმავს არასრულწლოვანთა გამოკითხვის ინსტრუქციის შემუშავებას. დოკუმენტი ორიენტირებული იქნება გამოკითხვის პროცედურის არასრულწლოვანთა საჭიროებებზე მორგებაზე, მეორადი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებასა და სხვა ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებზე, რომელიც უზრუნველყოფს საგამოძიებო პროცესში არასრულწლოვანთა ჯეროვან ჩართულობას.

13.8. საზოგადოებრივი აზრის კვლევა

დამოუკიდებელი საგამოძიებო უწყების, როგორც დაუსჯელობის სინდრომთან ბრძოლის ეფექტიანი მექანიზმის, შექმნა წარმოადგენდა საზოგადოების მოთხოვნას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეები ფლობდნენ ინფორმაციას სამსახურისა და მისი მანდატის შესახებ. ამავდროულად, მათ ჰქონდეთ ნდობა ინსტიტუციის მიმართ. ამ კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასების მიზნით, სამსახური უახლოეს პერიოდში გეგმავს, საზოგადოებრივი აზრის კვლევის ჩატარებას. აღნიშნულის მიზანია დაადგინოს ცნობადობის დონე სამსახურის მიმართ, ასევე, საზოგადოებაში უწყების საქმიანობის მიმართ არსებული განწყობები. კვლევის შედეგები, სამსახურს საშუალებას მისცემს დაგეგმოს ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული სამომავლო აქტივობები, ისევე როგორც, გაზარდოს მოქალაქეებისთვის შეთავაზებული სერვისის ხარისხი და ეფექტიანობა.

13.9. ცნობიერების ამაღლება და მიზნობრივი შეხვედრები

სამსახურის გაზრდილი საგამოძიებო უფლებამოსილების, შეტყობინებებისა და საჩივრების მიღების მექანიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელება კვლავაც რჩება უწყების წინაშე მდგარ ერთ-ერთ გამოწვევად. შესაბამისად, განვლილი პერიოდის მსგავსად, სამსახური კვლავ გეგმავს გააგრძელოს სხვადასხვა სამიზნე სეგმენტზე მიმართული, ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული, პირისპირ შეხვედრების, სემინარების, საჯარო ლექციების, კონფერენციებისა და სხვა მიზნობრივი აქტივობების განხორციელება. არსებული პრაქტიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მიმდინარე წელს განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან და სკოლებთან მჭიდრო კოორდინაციით, სამსახურის უფლებამოსილებაში შემავალი პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფასთან დაკავშირებული დანაშაულების პრევენციაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელებაზე.

13.10. ახალი ვებ-გვერდისა და შიდასაკომუნიკაციო ქსელის შექმნა

ციფრული სერვისების დანერგვა და განვითარება ერთი მხრივ, ხელს უწყობს სამსახურის საქმიანობის შესახებ ფართო დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებას, ხოლო მეორე მხრივ, მოქნილსა და მობილურს ხდის შიდაორგანიზაციული პროცესების წარმართვას.

ამ მიზნით უახლოეს პერიოდში დაგეგმილია სამსახურის ახალი, მულტი-ფუნქციური ვებ-გვერდის ამოქმედება. ვებ-გვერდი დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს მარტივად იქონიონ წვდომა უწყების საქმიანობასთან დაკავშირებულ როგორც შინაარსობრივ, ასევე, სტატისტიკურ ინფორმაციაზე. აღნიშნული კი თავის მხრივ, ხელს შეუწყობს უწყების შესახებ ცნობადობის დონის ზრდას.

ამავდროულად, შიდა ოპერაციული პროცედურების გამარტივებისა და არსებულ საჭიროებებზე მორგების მიზნით, მიმდინარეობს შიდასაკომუნიკაციო ქსელის შექმნის პროცესი. პროგრამული უზრუნველყოფის საშუალება სამსახურის თანამშრომლებს საშუალებას მისცემთ გაეცნონ როგორც მიმდინარე აქტივობების შესახებ ინფორმაციას, ასევე, წვდომა ჰქონდეთ უშუალოდ მათთან დაკავშირებულ მონაცემებზე და ნებისმიერ შიდაუწყებრივ აქტსა თუ სიახლეზე, რაც შესაძლოა საჭირო იყოს ყოველდღიურ საქმიანობაში.

13.11. ცხელი ხაზის სერვისის დახვეწა და გაუმჯობესება

საზოგადოების მხრიდან სამსახურისადმი მიმართვის ყველაზე სწრაფ და ეფექტიან საშუალებას უწყების ფარგლებში მოქმედი ცხელი ხაზი წარმოადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ მითითებული სერვისი უხარვეზოდ ფუნქციონირებდეს.

დასახელებული მიმართულების სამომავლოდ კიდევ უფრო დახვეწის მიზნით, მიმდინარეობს ტექნიკური ინფრასტრუქტურის განახლების, ისევე როგორც, შესაბამისი საკომუნიკაციო სტანდარტის დამტკიცებისა და მოქმედი ცხელი ხაზის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით აქტიური მუშაობა, რაც ხელს შეუწყობს დაინტერესებული მოქალაქეებისთვის ხარისხიანი და მათ საჭიროებებზე მორგებული სერვისის მიწოდებას.

13.12. საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება

უწყების ერთ-ერთ პრიორიტეტს დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურების საერთაშორისო ქსელების წევრობა წარმოადგენს. განვლილი პერიოდის განმავლობაში, სამსახურმა მოახერხა და გახდა 3 უმნიშვნელოვანესი ქსელის (პოლიციის მიმართ საჩივრების განმხილველ დამოუკიდებელ ორგანოთა ქსელი (Independent Police Complaints Authorities' Network)/ IPCAN); სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების საერთაშორისო ქსელი (Internal Criminal Investigations Network/ICIN); კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპელ პარტნიორთა ქსელი (The European Partners against Corruption/EPAC)) წევრი, რამაც შესაძლებლობა მისცა პირდაპირი კომუნიკაცია ჰქონდეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, მსგავსი კომპეტენციის მქონე ორგანოებთან, გაეცნოს მათ წინაშე მდგარ კონკრეტულ გამოწვევებსა და გადაჭრის გზებს, მონაწილეობა მიიღოს ღონისძიებებში, რომლებიც აერთიანებს საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, იურისტებს, მსხვერპლთა დახმარების სამსახურებს, სამოქალაქო საზოგადოებების წარმომადგენლებსა და სხვა.

არსებული მჭიდრო კომუნიკაციის კიდევ უფრო განმტკიცების მიზნით, სამომავლოდ სამსახური გეგმავს საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზებას დასახელებულ ქსელთა წევრი ორგანიზაციების მონაწილეობით. აღნიშნული ხელს შეუწყობს უწყებებისთვის აქტუალურ საკითხებზე მსჯელობისა და გადაჭრის გზების დასახვის მიზნით სადისკუსიო პლატფორმის შექმნასა და საქართველოს, როგორც ამ მიმართულებით გამოცდილების მქონე ქვეყნის წარმოჩენასა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის გაცნობას.

13.13. საკონსულტაციო საბჭოს ჩამოყალიბება

შექმნის დღიდან, სამსახური ორიენტირებულია საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას ინკლუზიური პროცესის უზრუნველყოფაზე. არსებული პრაქტიკის გაგრძელებისა და მისთვის სისტემური სახის მიცემის მიზნით, სამომავლოდ დაგეგმილია სამსახურის ფარგლებში სათათბირო ორგანოს - საკონსულტაციო საბჭოს შექმნა. საბჭო დაკომპლექტდება უწყების საქმიანობასთან კავშირში მყოფი როგორც სახელმწიფო უწყების, ასევე, საერთაშორისო და ადამიანის უფლებების სფეროში მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებით. მის უმთავრეს ფუნქციად კი განისაზღვრება სამსახურის უფროსის მხარდაჭერა/კონსულტირება, უწყების საქმიანობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

13.14. ქ. რუსთავსა და ქ. გორში რეგიონული ოფისების მშენებლობის დაწყება/აშენება

გაზრდილი საგამოძიებო მანდატისა და დატვირთვის გათვალისწინებით, კვლავ დღის წესრიგში დგას ტერიტორიული დაფარვის ზრდის საჭიროება. გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და დროული, ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად საჭიროა რეგიონული ოფისების დამატება შიდა და ქვემო ქართლში, კერძოდ, ქ. რუსთავსა და ქ. გორში.

ამ მიმართულებით, გაფართოების აუცილებლობა უმეტესწილად გამოწვეულია რეგიონში არსებული მაღალი მომართვიანობით, რაც საორიენტაციოდ შესაძლოა განპირობებული იყოს ისეთი ფაქტორებით როგორსაც, ქვემო ქართლში განთავსებული ორი დროებითი მოთავსების იზოლატორი (რუსთავი, მარნეული) და ხუთი პენიტენციური დაწესებულება (მათ შორის მკაცრი რეჟიმისა და ქალთა დაწესებულებები) წარმოადგენს. რეგიონული დანაყოფების არსებობა სამსახურის გამომძიებლებს საშუალებას მისცემს დროული რეაგირება მოახდინონ არსებულ შეტყობინებებზე, რაც თავის მხრივ აამაღლებს უწყების ეფექტიანობის ხარისხს.

მაღალი
სტანდარტი

გამჭვირვალე
გამოძიება

დაცული
უფლებები

WWW.SIS.GOV.GE

WWW.SIS.GOV.GE